ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

ხუთშაბათი,
26 აპრილი,
1990 წ.
№ 46 (11532)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

24 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შეიმუშავეს საქართველოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოებამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ.

განხილვის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ **გივი გუმბარიძემ.**

მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ერთობლივი დადგენილება **„საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“.**

## საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონი (პროექტი)

იხ. მე-4-5 გვ.

## ნიჭი მოვლა-პატრონობისა

მუსიკალური დარგის მმართველობის ნაკლოვანებების შესახებ

იხ. მე-6 გვ.

ქართულ-ევროპული ინსტიტუტი Institut Géorgien-Européen
5, Rue Chasseloup-Laubat 75015 Paris
Tel: 47 34 72 13

****************************************************************************

პარიზი, 8 აპრილი 1990 წელი

ახალგაზრდა "ივერიელს"

პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტი გილოცავთ მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს გაზეთის სახელწოდების შეცვლას და ყალბ სიმბოლოთა მსხვრევას. ადამიანი სიმბოლური არსებაა და სიმბოლოებს მის არსებობაზე წარმოდგენილზე გაცილებით დიდი გავლენა აქვს. სამაგალითოდ დავასახელებ წმ. გიორგის ხატ-სიმბოლოს დაუფიქრებელ შეცვლას (თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯის საწინააღმდეგო მოვლენას) და მის ხელმოცარულ და მაინც ლაღ მხედარს დამსგავსებას (ამ მხედარს მოგვიანებით "უაზზეგის" კოლოფზე ვიხილავთ "უუბანელ კაზაკად" გადაქცეულს!). ამგვარი წაბილწული სიმბოლოს სახელმწიფო გერბად გადაქცევას რაც მოჰყვა (სიმბოლურ განზომილებაში სიმბოლური ლოგიკა მოქმედებს. ცხადია) დღეს ყველას დაუმალავად მოეხსენება. თავის დროზე ნაციონალ-სოციალისტებმა ისე წაბილწეს "სვასტიკა" უძიძესი და უძველესი სიმბოლო კოსმიური მბრუნავი ჯვარისა (სახე და მიმართულება უცვალეს!), რომ მისი დანახვა დღესაც აძრწუნებს მრავალთ. ამან რაც მათ მოუწია ყველამ კარგად იცის. წაბილწულ და შერყვნილ სიმბოლოთაგან გათავისუფლება ის აუცილებელი პირობაა, რომლითაც ადამიანში (ვითარცა სიმბოლურ არსებაში) თავისუფლდება მაწონასწორებელ-აღმდგენელი ენერგია და სივრცე - ბუნება უსწორდება. ასე რომ თქვენს ნაბიჯს სხვა ღირებულება უჩნდება. ცუდი მაგალითებით ხომ ვიარეთ სამოცდაათი წელი (მთელი ორასიც), ახლა იქნებ დადგა დრო კარგი მაგალითების მიბაძვისა ან საკუთარი სამაგალითო გზის გამონახვისა. ღმერთმა ინებოს.

მოგესალმებით პარიზული "ივერიის" სახელითაც და გისურვებთ არ მოგაკლდებოდეთ დიდი ივერიელის გზის მანათობელი ნათელი, ნებისყოფა, რწმენა და პრინციპულობა.

პატივისცემით

ჯანრი კაშია

(ხუმრობით მინაწერი: მე კოლხი ვარ და "ახალგაზრდა კოლხი" არ დამანახოთ თორემ წამსვე "მგზნებარე კოლხიდელის" საშიშროებას შევიგრძნობ. ეს კი მოგეხსენებათ რა ყურშაც იქნება!)

## საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს მიმართვა რესპუბლიკის ყველა ჟურნალისტს

ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲙᲐᲚᲛᲔᲜᲝ! საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო მოგიწოდებთ ხმა აღიმაღლოთ ჩვენი საერთო ინტერესების დასაცავად.

საქართველო არაერთხელ მდგარა ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების ზღვარზე, მაგრამ ყოველთვის იხსნიდა ხოლმე ერთობის, მთლიანობის ურყევი რწმენა, გონებისა და სიკეთის გამარჯვების რწმენა. ამ რწმენამ გადაგვატანინა 1989 წლის შავი აპრილიც, შეაკავშირა საქართველოსთვის ლახვარცემული ახობით გული.

ხალხის მისწრაფებამ დემოკრატიისადმი, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისადმი, რეალური სუვერენიტეტისადმი შავბნელი ძალები აიძულა პროვოკაციულად გამოეწვიათ საყოველთაოდ ცნობილი სისხლიანი კონფლიქტები, რომლებმაც უმანკო ადამიანები შეიწირა. ამ ძალებს სურთ კვლავ უზნეობის სახწორზე შეაგდონ კაცთა სიცოცხლე.

ეგრეთ წოდებული ინტერფრონტი, რომელიც რესპუბლიკაში იქმნება, ავრცელებს ცილისმწამებლურ პროკლამაციებს, რომლებშიც უსახელო ავტორები შეურაცხყოფას აყენებენ მთელ ქართველ ერს — მოღალატეების ერს უწოდებენ. ამ მახინჯი ორგანიზაციის შემქმნელები, რომლებიც უდიერად აყალბებენ სინამდვილეს, ყოველნაირად ცდილობენ არა საზოგადოების შეკავშირებას დემოკრატიული, სამართლებრივი, თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის გზით, არამედ იმას, რომ არაქართველი მოსახლეობა დარაზმონ საკუთარი უფლებების დასაცავად, რომლებსაც, ვითომდა, ფეხთქვეშ თელავენ შოვინისტები. ამ აღმაშფოთებელმა ცილისწამებამ ვანარისხა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე. ჟურნალისტთა კავშირში, გაზეთების რედაქციებში თუ ტელევიზიაში დაიძრა სხვადასხვა ეროვნების ინტერესების წარმომადგენელი, კერძო პირების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების წერილების ნაკადი. ხალხი მოითხოვს დაისაჯონ ყველა ჯურის პროვოკატორები, და მრავალეროვან რესპუბლიკაში დასაშვებად მიაჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობისა და იმათ წინააღმდეგ ერთად ბრძოლის ფრონტი, ვინც იმპერიულ ამბიციებს და ადმინისტრაციულ-ფეოდალური დიქტატის წყურვილს შეუპყრია.

საქართველოს ეგრეთ წოდებული ინტერფრონტის ინიციატორებს, სულის ჩამდგმელებსა და შემქმნელებს გვინდა შევახსენოთ უმარტივესი სამართლებრივი კონცეფციები, ის, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ეროვნულ შუღლს იწვევს, ისჯება „მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრ კავშირის ტერიტორიის მთლიანობის ძალადობრივი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ 1989 წლის 2 აპრილის კანონის მე-3 პარაგრაფით და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით.

როგორც შევიტყვეთ, ამ ცილისმწამებლური პროკლამაციის გავრცელების ფაქტის გამო საქართველოს სსრ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს. ჟურნალისტთა ღირსების საქმეა ხელი შეუწყონ არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არსებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დაწყებული ძიების ყველა ეტაპის ობიექტურ გაშუქებას.

სიტყვა არა მარტო გულისმომკვლელია, არამედ მკურნალიცაა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო მოგიწოდებთ მართალი სიტყვით, კონკრეტული საქმით ემსახუროთ რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ერთობას.

## „აბესალომ და ეთერი“ — საკონცერტო შესრულებით

23 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის სცენიდან აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ უკვდავი მელოდიები. აქ გაიმართა ამ მონუმენტური ნაწარმოების საქველმოქმედო წარმოდგენა, რომლის ინტერპრეტატორი იყო შემოქმედი ახალგაზრდობა. მთავარი პარტიები შეასრულეს საქართველოს სახალხო არტისტებმა მაია თომაძემ, ალექსანდრე ხომერიკმა, ჯემალ მდივანმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ტარიელ ჰეჟინაძემ, სოლისტების — ნათელა პყონიას, ნაირა დვალისა და ავთანდილ ბაბულეიშვილისათვის ეს იყო პირველი გამოსვლა ამ ოპერაში. თბილისელი მსმენელები შეხვდნენ აგრეთვე მომღერლებს თამარ კრაწაშვილსა და ალექსანდრე გუჯაბიძეს — ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტებს.

# მშვიდობა თქვენთანა!

ამა წლის მარტის თვეში გაზეთ „წიგნის სამყაროში“ (№ 3-4-5) დაიბეჭდა ქართველი „რასკოლნიკის“ ზ. ნარმანიას წერილი, რომელშიაც იგი თავისი თანამოდასის მურთაზ (ანტონ) ჩახავას კვალდაკვალ ცილს წამებს ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, აცხადებს რა მას სექტანტისათვის დამახასიათებელი თავხედობითა და უმეცრებით ერეტიკულად, რისთვისაც იგი ამავე გაზეთის 14 მარტის ნომერში მხილებულ იქნა ერთერთი ჩვენი მღვდელმსახურის მიერ. სჩანს მხილებამ ნაყოფი არ გამოიღო; პირიქით, მათ მიერ ახლადდარსებულ გაზეთში „ღვთიური გზა“ მუქარაზე გადავიდნენ, აცხადებენ რა, რომ „ძველ მართლმადიდებელთა ორგანიზაცია იტოვებს უფლებას, დაარსოს ორთოდოქსალური ძველმართლმადიდებლური ეკლესია“, რადგან მათი აზრით ქართული ეკლესია „ფუნქცია გამოცლილია და თეატრად ქცეულა... ამ ეკლესიებში შეუძლებელია მადლით შემოსვა, ვინაიდან ამგვარ ეკლესიაში არც მფარველი ანგელოზია და არც ხელდასხმული სჯულიერი მღვდელი“ და თურმე ნუ იტყვით ქართველ პატრიარქებს რომც მოენდომებინათ თავიანთ „დაწყლულებულ ეკლესიებში... შეცდომების გარანდვა, რუსეთის ეკლესიის მამამთავარი ამის უფლებას, ალბათ, არ დართავდა“(!) თითქოს ქართულ ეკლესიას რუსეთის პატრიარქი განაგებდეს და არა ქართველი კათალიკოს-პატრიარქი!

თუმცალა ისიც ვნახოთ ქართული ეკლესიაა „დაწყლულებული“ თუ მათი რუსოფილური გონება. მათი სითამამე უფრო შორს მიდის და ისინი იწუნებენ არამარტო „ჩვენი ეკლესიების ვარგისიანობას“ („ღვთიური გზა“), არამედ იტყვიან „დღეისათვის წარმართულ მსოფლიოში... ყველა(!) ეკლესია ანათემირებულია“ გარდა... ერთისა!

რომელია ეს ერთადერთი ეკლესია?

გაზეთის რედკოლეგია გვმოძღვრავს: „რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საჭიროა სიმართლე ითქვას, დღევანდელ ერეტიულ მსოფლიოში მხოლოდ რუსმა „სტაროაბრიადებმა“ შეინარჩუნეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა“. მაგრამ რედაქცია სევდიანად დასძენს იმავე გაზეთში, რომ ისინიც დაღმა დაეშვნენ და ვიდრე საბოლოოდ დაეცემიან „ხელში აიყვანენ საქართველოს პირმშო ეკლესიას (ფრთხილად, პატივცემულო მკითხველო, ეს მხოლოდ „დამოძღვრა“ აღარაა არამედ „წინასწარმეტყველება“)“; როცა ბრძოლის ველზე მედროშე ეცემა, დროშას სხვა აიტაცებს ხოლმე. აი, სწორედ ამ ყოფაშია დღევანდელი ძველმართლმადიდებლური რუსული ეკლესია — გასდის დიდების ყავლი — ერთადერთი ეკლესია. შეინარჩუნა გამჩენმა, დანარჩენი ძველმართლმადიდებლური ეკლესიებიც წაიქცნენ რეფორმატორული ეკლესიების მიბაძვით.

როგორც სიმონ ღვთისმოსავი შემორჩა ერთადერთი მართალი მღვდელმსახური იუდას ქვეყანას ქრისტეს მირქმვისას, ასევე ერთადერთი მართალი ეპისკოპოსი ბრწყინავს სადღეისოდ მთელ დედამიწაზე, და ის არ დაეცემა, ვიდრე ხელში არ აიყვანს საქართველოს პირმშო ეკლესიას, როგორც სიმონი!

გადავწყვიტეთ ქართველ საზოგადოებრიობას გავაცნოთ ამ „ერთადერთი მართალი ეპისკოპოსის“ ანუ ძველმართალმადიდებელთა არქიეპისკოპოს გენადის წერილი, რომლითაც ცოტა ხნის წინ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, რომელშიაც იგი სთხოვს ჩვენი ეკლესიის მამამთავარს დაეხმაროს „მურთაზ (ანტონ) ჩახავას მბოდვიარე მოქმედებების“ აღკვეცაში. ამავე წერილიდან ვგებულობთ რომ „სწორ ნათლობაზე“ თავგამოდებული მ. ჩახავა ხსენებული არქიეპისკოპოსის მიერ მღვდლობიდან განყენებული გონჩაროვისა და სკაჩკოვის მიერაა მონათლული („სკაჩკოვმა“ შვა „ვისკაჩკა“), და არათუ მართლმადიდებლური ეკლესიის, არამედ სექტანტური გაგებითაც კი არ ითვლება მონათლულად (იხ. წმ. მოციქულთა კანონები — 31,46. ლაოდიკიის კრების კანონები — 13).

ვიდრე ხსენებულ ბარათს გავეცნობოდეთ, საგულისხმო იქნება მკითხველს ჩახავა-ნარმანიასა და მათთანათა კიდევ ერთი „შეგონება — წინასწარმეტყველება“ შევახსენოთ:

„გავუმხელ საშველს ისრაელს და შენც ისმინე სომხეთო, და ყურად იღე, საქართველოვ! ეს არ იქნება მთლიანი ხსნა, რამეთუ შეგონება იგი მთლიანად არ იქნება მიღებული; საშველიც იმდენი გეწიოთ, რაოდენიც ყურად იღოთ საღვთო გაფრთხილება.

იგოდე, ისრაელ! თავზე ნაცარი დაიყარე, წარსთქვი ღვთის წინაშე გულმდუღარედ: ვინ, ვინ შემოჰკრა პირველი ზარი ისრაელთა განსაკრთომელი?“

რა მრგვინავი ხმაა „წინასწარმეტყველისა“, იერემია გეგონება, რომ არ იცოდე რომ ჩახავას შეთხზულია, ვინც „შემოჰკრა პირველი ზარი ისრაელთა განსაკრთომელი“ და მხოლოდ ისრაელთა, ქართველთა და სომხთა გამოსაფხიზლებლად?! ასევე — აგარიანელთა. რა აძლევს მას ამის უფლება-მოსილებას, მისი ფსევდონიმი გაგიმხელთ: იოანე! არა იოანე-ზოსიმე, არამედ ღვთისმეტყველი იოანე, ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, რომელიც ცოცხლად წაიყვანა ღმერთმა და უკანასკნელ დროს დაბრუნდება დედამიწაზე (ჩახავას თვითშთაგონებით ის უკვე დაბრუნდა), ილია თეზბიტელი და მართალი ენუქი წმ. ქალაქ იერუსალიმში იქადაგებენ ქრისტეს მოსვლის წინ იოანე კი... გაზეთს „ღვთიური გზა“ რედკოლეგიაში 12 წევრი ჰყავს იოანე-ჩახავას. ჩათვლით, ამან უფლის 12 მოციქულზე უნდა მიგვანიშნოს.

ქრისტე იესომ იხსნას ეს 12 მოხიბლული ქართველი დიდებისმოყვარებისა და სულიერი სიბრმავისაგან, მიანიჭოს ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა და თავმდაბლობა.

ქართველ ერს კი დედა სამოციქულო და მართლმადიდებლური ქართული ეკლესია ერთგულებას პირდება კვლავაც და მასთან ერთად შეჰღაღადებს ცისა და ქვეყნის შემოქმედს:

„ქართველთა უბიწო სარწმუნოებას რაიმე ბიწი არ შეჰხებია, ეს ღმერთმა ნუ ქნას! არ გეცრუებით შენ, ჩვენი სიწმინდით, მშობელო წმინდაო საყოველთაო ეკლესიაო! არ გაგცემთ შენ, ჩვენო სიამაყევ — მართლმადიდებლობავ, რომლისთვისაც არასოდეს გვიღალატნია, რაც მისი შეცნობის ღირსნი ვავხდით და რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა“ (რუისურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა).

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა, ამინ!

**სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალ „ჯვარი ვაზისა“-ს რედაქცია.**

ДРЕВЛЕПРАВОСЛАВНАЯ АРХИЕПИСКОПИЯ
НОВОЗЫБКОВСКАЯ, МОСКОВСКАЯ И ВСЕЯ РУСИ

243000 Брянская обл., г. Новозыбков.
ул. Первомайская, 7
р/с 000701303 в Новозыбковском отделении Жилсоцбанка
тел.: 3-42-62
3-19-10
3-16-71

. . 198 г. № 611

Патриарху-католикосу всея Грузии
Его Святительству Илье II

Ваше Святительство!

Позвольте обратиться к Вам с таким сообщением, что в с. Григолети Ланчхутского района проживают русские верующие древлеправославные христиане. Общество зарегистрировано Советом по делам религий Грузинской ССР и имеет свой молитвенный дом. Ранее служившие там священники Гончаров Ф.А. и Скачков Л.Е. за нарушение канонических правил и за неподчинение Архиепископу были мною запрещены во всяком священнодействии.

При содействии ранее перешедших в старообрядчество и принявших от этих священников крещение грузинских граждан Чаховы Антона и его приспешницы Марины вышеупомянутые священнослужители не подчинились моему Указу о их запрещении в служении и вопреки 31 правилу Святых Апостол создали подпольные домашние церкви (сборища) в г.Поти по ул.Молтавка, где продолжали священнодействовать. Узнав об этом, Собор епископов, согласно канонических правил 31-го Апостольского 13-го Двукратного Собора и др. после многократных увещеваний подверг их извержению с указанием возвратить в Архиепископию Ставленные грамоты и Указы на служение, но пользуясь поддержкой Чаховы А. и Марины, которые после неудачи создать в г.Тбилиси "Иверскую истинную древлеправославную церковь, автокефальную и решивших на основе этих незаконных "сборищ" создать в г.Поти "Истинную древлеправославную церковь", ортодоксальную, изверженные служители решению Собора епископов не подчинились и продолжают незаконные действия в незаконных молитвенных домах, грубо нарушая "Законодательство о религиозных культах" и "Кодекс законов Грузинской ССР" статья 199.

Местные власти неоднократно были информированы о незаконных действиях изверженных священнослужителей, секретарь Горисполкома выезжала на место и воочию убедилась в незаконных сборищах, обещала принять срочные меры, но до сих пор ничего не изменилось и Чахова А. с Мариной не теряют надежды создать грузинскую (иверскую) старообрядческую церковь и вовлечь в нее молодых представителей грузинской интеллигенции. Чахову А. местные потийские власти хорошо знают, знают и то, что в создании этих незаконных сборищ не малая его заслуга и тем не менее, мер никаких не принимают.

Обращаюсь к Вам, Ваше Святительство, как к Патриарху и Председательствующему ВСЦ и прошу Вашей помощи в прекращении незаконных сборищ в г.Поти, чтобы возвратить "заблудших овец" в лоно Древлеправославной церкви и лишить почвы Чахове и Марине в их бредовых действиях.

С уважением к Вашему Святительству

Архиепископ /ГЕННАДИЙ/

# მოვლენების კვალდაკვალ

## საწარმოო გაერთიანება „საქტრანსგაზის“ კოლექტივის საერთო კრების

# დადგენილება

ქ. თბილისი
17 აპრილი 1990 წ.

მოისმინა და განიხილა რა განცხადება საქართველოში ერებს შორის შუღლის ჩამოგდების მიზნით ეგრეთ წოდებული „ინტერფრონტის“ ჩამოყალიბების მცდელობის შესახებ ს/გ „საქტრანსგაზის“ მრავალეროვანი კოლექტივის კრება ა დ გ ე ნ ს:

1. დაგმობილ იქნას საქართველოში ერთა შორის შუღლის ჩამომგდები ორგანიზაცია ეგრეთწოდებული „ინტერფრონტის“ პროვოკაციული მცდელობა.

2. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ინტერფრონტის ჩამოყალიბების შემთხვევაში გამოაცხადოს იგი დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომელიც შუღლს აგდებს ერთა შორის ურთიერთობაში.

3. სამართალდამცავი ორგანოების საშუალებით უზენაესმა საბჭომ აღკვეთოს ყოველგვარი უკანონო შეკრება თუ მიტინგი, რომელიც ინტერფრონტის მიერ იქნება მოწყობილი.

4. ერებს შორის ურთიერთობის ახალი საკავშირო კანონმდებლობის თანახმად პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც ხალხთა ორგანიზებული ჯგუფის; კერძოდ ინტერფრონტის მეშვეობით ცდილობენ ჩამოაგდონ ეროვნებათა შორისი შუღლი საქართველოში.

აღნიშნული დადგენილება გამოსაქვეყნებლად დაეგზავნოს საქართველოს ტელერადიოკომიტეტს, გაზეთ „კომუნისტს“, „ახალგაზრდა ივერიელს“ „ზარია ვოსტოკას“, „მოლოდიოჟ გრუზიას“.

123 ხელმოწერა

# ...ამოდის!.. ნათდება!..

საქართველოს, თბილისის თბილ უბეში დაბუდებულმა „უხსენებელმა“ — „ინტერფრონტმა“ შხამის ბოლომდე გადმონთხევა ჯერაც ვერ მოასწრო და აი ახალი, ამჯერად უკვე სტრატეგიული ხასიათის იარაღის ოფიციალურად, საპარლამენტო დონეზე გამოყენებას ცდილობს ცენტრ-საკავშირო სუკი. (რუსებს ასეთი ჟარგონული გამოთქმა აქვთ — „სუკი“, რაც გინებას ნიშნავს, მაგრამ ამჯერად გარკვეული ორგანო იგულისხმება).

ამა წლის 20 აპრილს საკავშირო ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურმა „ვრემიამ“ ვრცელი ინტერვიუ-სიუჟეტით საქვეყნოდ გვამცნო; საბჭოთა სრკ-ის უზენაესი საბჭოს ეროვნული ურთიერთობათა მარეგულირებელი კომიტეტი საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს „წინადადებას“ აძლევს შეიმუშაოს... მესხეთელი თურქების სამშობლოში (??) ეტაპობრივად ჩასახლების „ლონისძიებები“ (??). არც მეტი და არც ნაკლები. ამით არა თუ პარლამენტული, პოლიტიკური ბრძოლა, — „ცივი ომია“ შემოთავაზებული. აქ უკვე ცხელი, მძვინვარე ბრძოლა გამოეცხადა საქართველოს, რადგან იმპერიის მმართველმა წრეებმა იციან ჩვენი უკომპრომისო გადაწყვეტილება ამ უმართებულო საკითხში. საქართველოს არცერთი გოჯი მიწა უცხო ტომის — მოძულე ურდოს არცერთ „ოჯახს“ არ მიიღებს. საქართველო — ქართველთაა მიწაა!

ადამიანის გარკვეული სისუსტე იქნება იმითაც გამოიხატება, რომ პრინციპში ჩვენ უფრო ანგარიშს ვუწევთ, მეტად გვიყვარს, პატივსმივაგებთ იმას, ვინც იმარჯვებს, — გამარჯვებულია. მაგრამ თანავუგრძნობთ, გვიყვარს, პატივს ვცემთ იმასაც, ვინც მარცხდება, — საერო ისტორია, თანამედროვეობა ამის დასტურია. ჩვენი პირადი ყოფა-ცხოვრება, საზოგადოების ეროვნული, პოლიტიკური, სოციალური ქმედება ყოველთვის მიღწევებთან, გამარჯვებებთან როდია დაკავშირებული, მაგრამ წარუმატებლობა, გამოცდილება, დამარცხება, — მომავალი გამარჯვებების საწინდარია.

დადგება დრო და ქართველთა მომავალი თაობები მემატიანის „ჩაყვითლებული პერგამენტებიდან“ სიამაყის გრძნობით შეიცნობენ მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართველთა სიმამაცეს, თავგანწირვას თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის ზვარაკად შეწირულ სიცოცხლეს.

ქართველებო!

იქნებ დგება ჟამი განწირვისა?!

არა მგონია! ქართველს, სრულიად საქართველოს წმინდა გიორგი, ფუძის ანგელოზი დარაჯობს.

იყო მარაბდა...

იყო კრწანისი...

იყო დიდგორი...

იყო, არის, მარადჟამ იქნება ქართველი, სრულიად საქართველო.

ამოდის!

ნათდება!!

**ავთანდილ გველესიანი**

## საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

# საუბარი ე. წ. თურქი-მესხების შესახებ

დღე ისე არ გავა, რომ ეგრეთწოდებული თურქი-მესხების თამაზე პრესამ, რადიომ თუ ტელევიზიამ ახალი ამბავი არ მოიტანოს და საქართველოს ისედაც რთული ვითარება არ გაამწვავოს...

ამას წინათ ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო პრესკონფერენცია, რომელიც გახსნა ჟურნალისტთა კავშირის მდივანმა აკაკი სიხარულიძემ.

ბოლოს და ბოლოს ვინ არიან ეს ე. წ. თურქი-მესხები და რა უნდათ? ფართო საზოგადოების დიდი სურვილია იცოდეს ყველაფერი სახელდობრ, აინტერესებთ საქართველოს ისტორიის ცნობილ სპეციალისტთა შეხედულებანი... სწორედ „თურქი-მესხების“ პრობლემის გარშემო ილაპარაკა ბატონმა ლოვარდ ტუხაშვილმა, რომელმაც იცის არა მხოლოდ საქმის ისტორია, არამედ პირადად იცნობს თურქ-მესხების მრავალ წარმომადგენელს, მათ ცხოვრებას წინათ და ახლა, იცნობს მათ ადათ-წესებს და განწყობილებას. ამიტომაც დამსწრე ჟურნალისტებმა — პრესის, რადიოს და ტელევიზიის მუშაკებმა უფრო ირწმუნეს მისი სიტყვები.

— თურქი-მესხი არ არსებობს, — თქვა ლოვარდ ტუხაშვილმა — ამ ქვეყნად არიან ან თურქები ან მესხები (ქართველები), ხოლო ადამიანები რომლებიც თავის თავს თურქ-მესხებს უწოდებენ არიან მუსულმანები. მათ ქრისტიანობის გაგონებაც არ უნდათ, და არც ქართველობის. არ უნდათ და ნუ უნდათ, არც არავინ აძალებთ: მესხეთი საქართველოს ისტორიული ნაწილია. საქართველო კი არასოდეს ყოფილა თურქების სამშობლო...

რაც შეეხება ჭეშმარიტ მკვიდრთ, მათ გაუგონარი სისას-

(დასასრული მე-6 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოყვარეს პირში უძრახე

## გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 19 აპრილის ნომრის ერთი პუბლიკაციის გამო

„მაინც დამოუკიდებლობა სჯობს" — ასეთი სათაურით გამოქვეყნდა 19 აპრილის „ახალგაზრდა ივერიელში" მედიცინის მუშაკთა სრულიად საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების საბჭოს თავმჯდომარის ბატონ იოსებ კაციტაძის, რბილად რომ ვთქვათ, სახოტბო სტატია. ამას წინ უძღვოდა მისი რამოდენიმე ინტერვიუ რესპუბლიკურ გაზეთებში. მედიცინის მუშაკთა ყრილობის პერიპეტიები ფართოდ გაშუქდა ტელევიზიით, რადიოთი, მათ შორის, საზღვარგარეთულითაც.

„თუ კი ჩვენ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ეკლიან გზას დავადექით, უკან აღარ უნდა დავიხიოთ" — გვამცნობს სტატიის ავტორი ქალბატონი თამარ ჩხატარაშვილი. ამინ! სწორედ ეს არის ჩვენი კრედო, ლოზუნგი, ყოველდღიური საზრუნავი, მაგრამ სამწუხაროდ, სტატიის მხოლოდ ამ ნაწილს შეგვიძლია დავეთანხმოთ. სხვა კი მხოლოდ არცოდნაა არცოდვილი ქალბატონი თამარის და გაზეთის მკითხველის ფართო აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის მცდელობა ბატონი იოსების მხრიდან.

პროფკავშირი რომ ნებაყოფლობითი ორგანიზაცია უნდა იყოს, ეს სრულიად საქართველოს მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის პირველ ყრილობაზე გაუგია სტატიის ავტორს, რას იზამ, მან არ იცოდა ჯერ კიდევ მარტში გამოქვეყნებული საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონცეფციის შესახებ, არ იცოდა იმის შესახებ, თუ საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის როგორი წესდების პროექტი მომზადდა, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციებს ერთობისაკენ მოვუწოდეთ მხოლოდ დემოკრატიულ, წარმომადგენლობით ორგანოში, რომელიც საერთო ეროვნულ ინტერესებს მოემსახურება, რომ არათუ რესპუბლიკურ კომიტეტებს, არამედ პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც საფინანსო-საორგანიზაციო საკითხებში სრული დამოუკიდებლობა და შესაბამისად საკუთარი წესდების შემუშავების პრეროგატივა ენიჭებათ, კონფედერაციაში სრულუფლებიან, ასოცირებულ თუ დროებით წევრად შეუძლია გაერთიანდეს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის წესდება მისაღებია რესპუბლიკის მშრომელთათვის. განა არ ნიშნავს ეს მბრძანებლურ-ადმინისტრაციული პროფსაბჭოს ლიკვიდაციას! ნუთუ გაუგებარია, რომ ყრილობაზე, რომლის მოსამზადებლად ამდენი ენერგიაა დახარჯული, დელეგატებს სრული შესაძლებლობა მიეცემათ ლიდერებად აირჩიონ ისინი, ვინც უნდათ, ხოლო ავადხსენებულ აპარატს თავისი ადგილი მიუჩინონ, შემადგენლობაც და ფუნქციებიც თავად განსაზღვრონ, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს მომსახურე სტრუქტურას ყრილობა თავად განსაზღვრავს თუ რა უფლებამოსილებით აღჭურვოს რესპუბლიკის მოსახლეობის ინტერესების დამცველად ძალისხმევის გამაერთიანებელი ორგანო.

სწორედ ასეთი კონფედერაციის შექმნას ვესწრაფვით ჩვენ. რამოდენიმე თვეში საკმაო მანძილიცაა გავლილი სწორედაც, რომ ეკლიან გზაზე. ან განა რაა მიუღებელი ბატონი იოსებისათვის იმაში, რომ საქართველოს ჯერჯერობით არსებულმა პროფსაბჭომ უკვე უარი თქვა რესპუბლიკის თუ ე. წ. ცენტრის სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანოებისადმი დამორჩილებაზე და მომავალ ყრილობას საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის დამფუძნებელი პირველი ყრილობა ეწოდება, და საფუძველს უყრის სოლიდარობის ერთიანი ფონდის შექმნას საგაფიცვო მოძრაობისა თუ ეროვნული საქმის დასაფინანსებლად.

ეს ყველაფერი შეიძლება არ იცოდეს გაზეთის ახალგაზრდა კორესპონდენტმა, მაგრამ ბატონ იოსებს ხომ სრული შესაძლებლობა ჰქონდა ყოფილიყო გარკვეული საქმის ვითარებაში, როდესაც იგი მედიცინის მუშაკებისა და მთელი ერის წინაშე თავს ჰრის მისტიურ, მათ ჯიბეში ხელის მოფათურე „ცენტრს", დავიჯეროთ არ იცის თუ რამდენი მილიონი მანეთი გამოიყო პროფკავშირული საერთო (!) თანხებიდან ბოლნისში თუ აფხაზეთში ქართველთათვის სახლების შესაძენად, თუ რამდენად აღემატება ოთხი წლის მანძილზე მედიცინის მუშაკთა საწევრო შესატანებიდან საერთო ბიუჯეტში გადარიცხულ თანხას მხოლოდ ერთი მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ან რა ღირს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირებისათვის აუნაზღაურებლად გადაცემული ცხვარიჭამიას საბავშვო დასასვენებელი ბანაკი, რა ჯდება ვანსა და ურეკში კულტურის სახლებისა და რესპუბლიკური საავადმყოფოს კინოდარბაზის მოვლა-პატრონობა. ბატონი იოსებისათვის ისიც კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს პროფსაბჭოდან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახით მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს ბოლო 5 წლის განმავლობაში მიეცა დოტაცია 85 მილიონ მანეთამდე, ხოლო მიმდინარე წელს უნდა გადაერიცხოს 18 მილიონამდე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, როგორ არ ვიფიქროთ, რომ ბატონ იოსებს უბრალოდ შეცდომაში შეჰყავს მკითხველიც და, რაც ყველაზე გულსატკენია, ჩვენი სახელოვანი მედიცინის მუშაკთა საუკეთესო წარმომადგენლებიც. მიზანი კი, ვფიქრობთ, დღევანდელ, ისედაც გამწვავებულ ვითარებაში, სწორედაც რომ საძრახისია — შექმნას არარსებული მტრის სახე — მასთან მებრძოლი ლიდერის პორტრეტის ჩამოსაყალიბებლად. თავს უფლებას მივცემთ და ამ პორტრეტს რამდენიმე შტრიხს დავუმატებთ.

ბატონი იოსების თავმჯდომარეობით ყრილობის შემდეგ ჩატარებული პრეზიდიუმის პირველივე სხდომაზე, სამუშაოდან იქნა დათხოვილი მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლის 13 მუშაკი, რათა უკვე ამ სასახლის სიმაღლიდან განეცხადებინა „ახალგაზრდა ივერიელის" კორესპონდენტისათვის ერთ-ერთი სანეპიდსადგურის „ურთულეს უბანზე" მომუშავე გამოცდილი მედიკოსის განთავისუფლებისა და მის ნაცვლად კომკავშირის კომიტეტის მდივნის, განათლებით ეკონომისტის დანიშვნის შესახებ. მომგებიანი ფაქტია, თუ არ მოვიგონებთ იმასაც, რომ აქ პროფსაბჭო უბრალოდ არაფერ შუაშია, უფრო მეტიც; ეს მუშაკი სწორედ პროფსაბჭომ აღადგინა იგივე ურთულეს უბანზე სამუშაოდ, და კიდევ სწორედ მაშინ, როდესაც პროფსაბჭოს აპარატი მართლაც რომ იმსახურებდა იმ შეფასებას, რომლებსაც დღეს ასე უხვად ვაფრქვევთ. ბატონი იოსები კმაყოფილი იყო გადაწყვეტილებით მისი რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის არჩევით თანამდებობაზე დანიშვნის გამო, დღეს კი მისი სითამამე, ვფიქრობთ, ზარმაცი მამლის ყივილს ჰგავს, როცა ღამის ბურუსი გაფანტულია და დღე მძლავრობს.

ჭკვიან ხალხს უთქვამს — ყველაზე საშინელი ნებადართული სითამამეაო. რაოდენ მისასალმებელი და საშური იქნებოდა ეს სითამამე, როდესაც რუსთაველის გამზირზე ტანკებზე ამხედრებული „სალდათები" დათარეშობდნენ და პროფსაბჭოს ახალგაზრდების ჯგუფს თანადგომა ესაჭიროებოდა ბრძოლაში, რომელიც მან ბიუროკრატიული, მბრძანებლური, ცნობილი მეთოდებით შეიარაღებული მთავრობით ზურგგამაგრებულ ხელმძღვანელობას გამოუცხადა.

ჩვენ გვესმის იმ ხალხისა, ვინც თავდაუზოგავი შრომით, დამოუკიდებლობისაკენ ენერგიული სწრაფვით, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობისათვის კონკრეტული საქმიანობით ცდილობს გამოისყიდოს თავისი იმ ძნელი და არაერთგვაროვანი დროის ინერტულობა, მაგრამ ვერ გავუგებთ მას, ვინც ცდილობს ფსევდოპატრიოტიზმით, ღია კარის მტვრევით, სხვისი დაუმსახურებელი ლანძღვითა და გინებით, საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანით ეროვნული გმირის სახელი დაიმკვიდროს, „საერისთაოს" შექმნას ლამობს.

ჩვენ, საქართველოს პროფკავშირების დემოკრატიული გარდაქმნების მხარდამჭერი საინიციატივო ახალგაზრდული ჯგუფის წევრები ვესწრაფვით რესპუბლიკის, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დამცველი, სრულიად საქართველოს, დემოკრატიული, ერთობით მძლავრი, დამოუკიდებელი პროფკავშირების შექმნას. მხოლოდ მივესალმებით იმას, თუ პროფკავშირების ბოლო პლენუმზე დამტკიცებული კომისიების მიერ შემუშავებული საყრილობო დოკუმენტები მიესადაგება ჩვენს წინადადებებს, თუ არა და ესეც არაა მიზეზი ლანძღვა-გინებისა (აღარ გვეყო!). იმედი გვაქვს ყრილობა ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს.

ახლა ჩვენ მხოლოდ ძალთა კონსოლიდაცია გვმართებს, სწორედ ამიტომ მივმართავთ მედიცინის ყველა მუშაკს, მედიცინის მუშაკთა სრულიად საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირებს, განსაზღვრონ თუ ვის ეყოფიან, ვისგან რჩებიან დამოუკიდებელნი: სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე შემდგარ პროფკავშირულ კონფედერაციას თუ ბატონ იოსების მიერ დახატულ კარგა ხნის არარსებულ აპარატს?!

ყრილობამდე სულ ცოტა დრო დარჩა, ვფიქრობთ, ის კიდევ ერთხელ დაგვანახებს, რომ გამარჯვება მხოლოდ ერთობით, ურთიერთთანადგომით, გვერდზე მდგომის სიყვარულით მოიპოვება.

**14 ხელმოწერა.**

# როდემდე უნდა მეფობდეს დემაგოგია?

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საზოგადოებრივი მოვლენების სირთულე უტყუარი ფაქტია იმისა, რომ იმპერატივის გამოყენებამ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში არასასურველი შედეგი გამოიღო. იმპერატივს დემაგოგი ხელმძღვანელები მიმართავენ თავისი თავის, თავის ძალაუფლების დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად. მოქმედების ასეთი მექანიზმი განსაკუთრებით იჩენს თავს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელისათვის თანამდებობა არის უპირატესობის მოპოვების საშუალება. ასეთ ვითარებაში საქმე აღარ არის პირველადი, პირველადი ხდება ადამიანთა მერკანტილური დაინტერესებები და ძალიან მძლავრდება მისწრაფება, რომ ვიღაცამ ვიღაცა დაიმონოს, კარიერისათვის ბრძოლა ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი; იკარგება აზრი ადამიანთა ჯანსაღი დამოკიდებულებისა, და ასეთ არასაქმიან სიტუაციაში კანონდება ცუდი იმპერატივი.

ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველობითი აპარატი ხელში ჩაგდებული აქვთ არაპოტენციურ ხელმძღვანელებს, რომლებიც არათანამედროვე, დახავსებული წესებით აზროვნებენ. რის გამოც ამ აპარატის მუშაობის გეზი ხდება მცდარი. ეს პროცესები ძალიან თვალნათლივ არის შესამჩნევი სამართლებრივ სფეროში. დემოკრატიულ-სამართლებრივ სახელმწიფოში კი დემაგოგიას განსაკუთრებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

ჭეშმარიტად სწორი პოზიციიდან მიმართავენ საქართველოს სამართლებრივი ორგანიზაციების მუშაკებს 17 მარტის „ახალგაზრდა ივერიელის" ფურცლებზე დასტამბული წერილით თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი, ბატონი გია გულუა და მისი თანამოაზრენი. უაღრესად ლაკონურად და ლოგიკურად დალაგებულ, ჯანსაღი აზრის გამომხატველ წერილში, ისინი აყენებენ საკითხს სამართლებრივი ორგანოების დეპოლიტიზაციის შესახებ — კერძოდ, დაუყოვნებლივ იყოს . მიღებული კანონი სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის რომელიმე პოლიტიკურ პარტიაში ყოფნის აკრძალვის შესახებ, თუ გვინდა, რომ ისინი ნამდვილად ჩადგნენ ხალხის სამსახურში. ავტორებს ეს მიაჩნიათ საქართველოში ხალხის ნების გამომხატველი კანონების უზენაესობის განხორციელებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ახალი მოდელის შექმნის აუცილებელ პირობად.

ამდენად გაუგებარია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილის, ბატონ ბ. ცაგარეიშვილის დამოკიდებულება აღნიშნული მიმართვისადმი (იხილეთ წლევანდელი 24 მარტის გაზეთი „მებრძოლი გუშაგი"). მით უმეტეს, როდესაც ბატონი ბ. ცაგარეიშვილიც ადასტურებს, რომ „დეპოლიტიზაცია ლოგიკურად გამომდინარეობს თვით მრავალპარტიულობის პრინციპიდან, რადგანაც ჩვენ ვერ დავუშვებთ თანამშრომლების დაყოფას სხვადასხვა პარტიების პლატფორმების ინტერესებიდან გამომდინარე". მაშინ გაუგებარია, რატომ აფასებს იგი უარყოფითად იმ „ფორმას" რომელიც, გამოიყენა ბატონმა გ. გულუამ მიმართვის სახით. თუ ეს ბრალდებაა, არგუმენტაცია უნდა იყოს შესაფერისი, თუ თავდასხმაა, ამისათვის* მიზეზია საჭირო. ეს საფუძველმოკლებული მოქმედების შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს, რაც ძველი აზროვნების ადამიანს უნდა ახასიათებდეს და დღეისათვის არ უნდა ჩაითვალოს მისაღებად იმის ფონზე, რასაც ბატონი გ. გულუა და წერილის დანარჩენი ავტორები წერენ ძალიან დამაჯერებლად და სამართლიანად. თანაც საგულისხმოა, რომ თვით ბატონი გ. გულუა კომპარტიის წევრი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატია და განა მას არასწორი პოზიცია უნდა დაეკავებინა აღნიშნულ საკითხებში, რათა მავანსა და მავანს მისი ასეთი გამოსვლა არ ჩაეთვალა იოლი გზით ავტორიტეტის მოპოვების მცდელობად? ანდა განა წერილის ავტორები თავიანთ მიმართვას საკითხის გადაწყვეტად მიიჩნევენ? და ბოლოს, პირადი შემადგენლობის ასეთმა მიმართვამ რატომ უნდა გამოიწვიოს თანამშრომლებს შორის აჟიოტაჟი და დეზორიენტაცია, როგორც ამას ვარაუდობს ბატონი ბ. ცაგარეიშვილი; განა საკითხის გაანალიზება-განსჯა და სწორი ორიენტაციის გამომუშავება ხელს შეუშლის მათ ყოველდღიურ საქმიანობაში?

ხოლო ბატონ ბ. ცაგარეიშვილის აზრს, რომ დღესდღეობით შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის ხერხემალს, მის ყველაზე უფრო ორგანიზებულ და მომზადებულ ნაწილს კომუნისტები წარმოადგენენო, ნამდვილად დაჰკრავს დემაგოგიური ელფერი და კიდევ უფრო აშკარას ხდის სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციის გადაუდებელ აუცილებლობას.

უსათუოდ პროგრესული და დამაიმედებელია, რომ, როგორც ბატონი ბ. ცაგარეიშვილი აღნიშნავს, სსრკ შს სამინისტროს წლევანდელი 10 თებერვლის კოლეგიის დავალებით, პოლიტორგანოების საქმიანობის ახალი კონცეფცია შემუშავების სტადიაშია. მაგრამ დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენ ვილვწვით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სუვერენიტეტისათვის, რატომ უნდა ველოდოთ მითითებას ცენტრიდან, განა რესპუბლიკური დონე არ უნდა იყოს საკმარისი ამ საკითხის გადასაწყვეტად?

ჩვენი აზრით, დეპოლიტიზაციის გატარება განხორციელდება დემოკრატიის, საჯაროობისა და პლურალიზმის არ მხოლოდ ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით (რაც არ იქნება მართებული), არამედ მეცნიერული საფუძვლების გამოყენებით, ე. ი. დეპოლიტიზაცია უნდა ემყარებოდეს დემოკრატიის, საჯაროობისა და პლურალიზმის პრინციპს, რომელიც უნდა მოქმედებდეს „პროფესიონალური ფილტრების" გამოყენების დონეზე. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის ძალისხმევა მარტო პოლიტიკოსებზე, ეკონომისტებსა და იურისტებზე დაყრდნობითაც არ იქნება სწორი, სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების საქმეებს ისინი ვერ გასწვდებიან. ხოლო რაც შეეხება ხელმძღვანელის როლს საზოგადოებაში, დღევანდელი ვითარებისათვის აუცილებელია ჯანსაღი იმპერატივის მატარებელი ადამიანები, რომელთაც ძალუძთ წარმართონ საქმე ნებისმიერ სფეროში დღევანდელი მოთხოვნების შესატყვის დონეზე.

**ია ჯეირანაშვილი**

P.S. სანამ წერილი დაიბეჭდებოდა, შევიტყვეთ, რომ 2 აპრილს ქ. თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პარტიული ორგანიზაციის კრებაზე ამავე განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გია გულუა წარსდგა სათანადო განცხადებით და დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები.

**რედაქციისაგან:** ვინც თვალს ადევნებს საკავშირო გაზეთების პუბლიკაციებს, ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებს, იცის, რომ დისკუსია სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციის შესახებ ინტენსიურად მიმდინარეობს. დროა, ვინც მოწოდებულია სამართლის დასაცავად, მართლაც დაიცვას ის და არ იყოს, როგორც ამას ხშირად პრესაზეც ამბობდნენ, ვილაცის ხელქვეითი ან დამხმარე. ჩვენი პუბლიკაციები ამ დისკუსიის გაგრძელებაა.

## პროექტი

# საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს:

1) საქართველოს ტერიტორიის განთავისუფლებას რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარებისაგან მისი აბსოლუტური შემადგენლობით.

2) საქართველოდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების გასვლისთანავე ან გასვლის პროცესში საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებას.

3) საოკუპაციო ჯარებისაგან განთავისუფლებულ საქართველოში საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე ეროვნული პარლამენტისა და მთავრობის არჩევას.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე აცხადებს:

ა) საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება თავისუფალი, სუვერენული, დემოკრატიული და სამართლებრივი არსებობის პრინციპებს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების არცერთ სფეროში.

ბ) 1921 წლის თებერვლიდან დაწყებული დღემდე საქართველო იმყოფება საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ, ანექსირებულ, სუვერენიტეტ წართმეულ და შეიარაღებული აგრესიის ქვეშ არსებული ქვეყნის მდგომარეობაში.

გ) საქართველოს ე. წ. სსრ და მისი ყოფნა ე. წ. სსრკ-ში წარმოადგენს რეალური ისტორიულ-პოლიტიკური მდგომარეობის დაფარვისათვის გამიზნულ დანაშაულებრივ ფალსიფიკაციას, ვინაიდან, ე. წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ე. წ. სსრკ კონსტიტუციის მიხედვით მათი ნებაყოფლობითი გაერთიანება — ე. წ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ), სინამდვილეში როგორც ასეთი, არ არსებობენ. არსებობს რუსეთის მოდერნიზებული იმპერია და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნები.

დ) საქართელოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭო, როგორც საქართველოს ანექსიის შედეგად შექმნილი მარიონეტული ხელისუფლება, არ წარმოადგენს ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნებისა და მისწრაფების გამომხატველ ოფიციალურ ორგანოს და აქედან გამომდინარე, ყოველგვარ უფლებას მოკლებულია ილაპარაკოს ქართველი ერის სახელით და საერთაშორისო სამართლის წინაშე დასვას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

ე) ქართველმა ერმა და საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ უნდა განსაზღვროს იურიდიული პირი და სამართლებრივი სუბიექტი, რომელიც იქნება საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების პირდაპირი გამომხატველი, რომელსაც ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით მიეცემა სრული უფლებამოსილება, ილაპარაკოს ქართველი ერის სახელით და საერთაშორისო სამართლის წინაშე დასვას საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი.

ვ) ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველ ოფიციალურ, იურიდიულ პირად და სამართლებრივ სუბიექტად, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება, დასვას საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი, აღიარებულ უნდა იქნას ე. წ. სსრკ კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ არჩეული საქართველოს ეროვნული კონგრესი.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებისადმი თავისი დამოკიდებულება უნდა განსაზღვროს საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ. კერძოდ, თუ საქართველოს ეროვნული ფორუმის მიერ წარმოდგენილ საარჩევნო კანონის საფუძველზე საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობის 51-მა პროცენტმა, მაშინ საქართველოს ეროვნული კონგრესი უფლებამოსილი იქნება საერთაშორისო სამართლის წინაშე თავი. გამოაცხადოს როგორც ქართველი ერის ნებისა და მისწრაფების ერთადერთმა გამომხატველმა.

### ძირითადი ნაწილი:

მუხლი 1. საქართველოს კანონიერი მოსახლეობა გამოხატავს თავის ურყევ ნებას, არჩეულ იქნას საქართველოს ეროვნული კონგრესი, როგორც ოკუპირებული, ანექსირებული, უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფი დღევანდელი საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნებისა და მისწრაფების ერთადერთი გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტი.

მუხლი 2. საქართველოს ეროვნული კონგრესი არჩეულ იქნას საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

მუხლი 3. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ტარდება ერთ მანდატიან საარჩევნო ოლქებში. საქართველო დაიყოფა 300 საარჩევნო ოლქად და თითოეული ოლქიდან არჩეული იქნება საქართველოს ეროვნული კონგრესის თითო წარმომადგენელი.

მუხლი 4. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ყველა საარჩევნო ოლქში საყოველთაოა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს დე ფაქტოდ არსებულ დღევანდელ ტერიტორიაზე — საქართველოს ე. წ. სსრ ტერიტორიაზე — მუდმივად მცხოვრებ ყველა ადამიანს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა.

მუხლი 5. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალება რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებს, საბჭოთა არმიის სარდლობას, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, ასევე საქართველოში მოვლინებულ ან დროებით სამუშაოზე მყოფ პირებს.

მუხლი 6. იმ პირების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი, რომლებიც საბჭოთა სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან არაქმედუნარიანებად, ან ცნობილნი არიან ფსიქიურად დაავადებულებად, უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათი პირადი ან სხვა პირთა განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. ამომრჩევლებს აქვთ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის თანაბარი უფლებები. ყოველი ამომრჩეველი მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში მოწყობილ არჩევნებში და მინიჭებული აქვს ერთი საარჩევნო ხმა.

მუხლი 8. ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა არჩევნები პირდაპირია. ამომრჩევლები ხმას აძლევენ პირდაპირ კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატს, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციასა და პარტიას ან კერძო პირს, რომელსაც აქვს თავისი წინასაარჩევნო პლატფორმა.

მუხლი 9. საქართველოს ეროვნული კონგრესის დროს კენჭისყრა ფარულია. აკრძალულია ყოველგვარი კონტროლის დაწესება ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებაზე.

მუხლი 10. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატთა წამოყენების უფლება ენიჭება საქართველოში მოქმე[illegible] დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა [illegible]ებს, კერძო პირებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი წინასაარჩ[illegible]ფორმა, შეუძლიათ წამოაყენონ თავი ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატად, თუ მათ მხარს უჭერს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ადამიანთა სულ მცირე 500-კაციანი კრება. კრების გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს კანდიდატის სულ მცირე 500-მა მომხრემ. კრებას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ცენტრალური ან საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს საარჩევნო კანონის მოთხოვნების შესრულებას.

მუხლი 11. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელსაც შეუსრულდა 25 წელი, რომელიც არ ცნობს საქართველოში ე. წ. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო წყობილების, ხელისუფლებისა და კანონმდებლობის არსებობის მართლზომიერებას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ პირობად მიაჩნია რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრკ საოკუპაციო ჯარების აბსოლუტური შემადგენლობით საქართველოს ტერიტორიის დატოვება და რომელიც არ ცნობს და მონაწილეობას არ ღებულობს საბჭოთა კანონმდებლობით რეგლამენტირებულ იმპერიულ არჩევნებში.

მუხლი 12. საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის შესაბამისად, საარჩევნო ოლქში გამარჯვებულად ითვლება ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის ის კანდიდატი, რომელიც კენჭისყრის დროს მიიღებს არჩევნებში მონაწილეთა ხმების შეფარდებით უმრავლესობას.

მუხლი 13. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატს უფლება აქვს კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

მუხლი 14. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი.

მუხლი 15. საქართველოს ეროვნული კონგრესის წინასაარჩევნო კამპანიასა და არჩევნებს ხელმძღვანელობასა და რეგულირებას უწევენ სპეციალურად შექმნილი საარჩევნო კომისიები.

მუხლი 16. საარჩევნო კომისიები იყოფა ცენტრალურ საარჩევნო, საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიებად. წინა საარჩევნო კამპანიას და არჩევნებს უძღვებიან საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მეთვალყურეობისა და დაქვემდებარების ქვეშ.

მუხლი 17. თითოეულ საარჩევნო ოლქსა და უბანში მოქმედებს თითო საარჩევნო კომისია.

მუხლი 18. თითოეული საარჩევო ოლქი იყოფა შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო უბნებად.

მუხლი 19. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატთა რეგისტრაციას აწარმოებს საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისია. წარმომადგენლობის კანდიდატთა ანკეტურ მონაცემებს წარადგენს შესაბამისი პარტია, ორგანიზაცია ან კერძო პირთაგან შემდგარი 500-კაციანი ამომრჩეველთა ჯგუფი. ნებისმიერ კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას არჩევნებში მონაწილეობისაგან თავისი კანდიდატურა. პარტიებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირთაგან შემდგარ ჯგუფებს უფლება აქვთ შეცვალონ ისინი სხვა კანდიდატებით.

მუხლი 20. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატებს საარჩევნო კომისიებში რეგისტრაციის შემდგომ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინა საარჩევნო კამპანიაში.

მუხლი 21. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრს ეკრძალება საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატად ყოფნა.

თუ ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატი, ამავე დროს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრია, მას იმავე ოლქში, რომლის საარჩევნო კომისიის წევრიც არის, ეკრძალება არჩევნებში ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატად ყოფნა. მაშასადამე, უფლება აქვს სხვა ოლქში წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.

მუხლი 22. საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა შეუძლია პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლებს, აგრეთვე კერძო პირებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე პარიტეტისა და კონსენსუსის პრინციპით. კომისიაში შედიან თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე, კომისიის მდივანი და კომისიის წევრები. ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საოკუპაციო და მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მუხლი 23. საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევო კომისიების კომპეტენციაში შედის საჯაროობის პრინციპების საფუძველზე საარჩევნო კამპანიის აგიტაცია-პროპაგანდის უზრუნველყოფა. საარჩევო კომისიები გადასცემენ შესაბამის ინფორმაციას მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით საქართველოს კანონიერ მოსახლეობას, კერძოდ, საარჩევნო კომისიების მუშაობის, საარჩევნო ოლქებისა და უბნების ჩამოყალიბების, კომისიების ადგილმდებარეობის, სამუშაო საათების, რეგისტრაციაში გატარებული კონგრესის წარმომადგენელთა კანდიდატების საანკეტო მონაცემებისა და ბოლოს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების შედეგების შესახებ.

მუხლი 24. საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს და ამტკიცებს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეს.

მუხლი 25. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აწარმოებს საარჩევნო კანონის შესრულების კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. უზრუნველყოფს ამ კანონის ერთგვაროვან გამოყენებას.

მუხლი 26. ცენტრალური საარჩევნო კომისია განსაზღვრავს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესს.

მუხლი 27. ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო ფურცლების, ბიულეტენებისა და სხვადასხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, აგრეთვე საარჩევნო ყუთების მოცულობებსა და გაბარიტებს.

მუხლი 28. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მატერიალური და ფულადი უზრუნველყოფისათვის წესდება საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების ფონდი, რომელიც იმყოფება საქართველოს ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის გამგებლობისა და კონტროლის ქვეშ. არჩევნების ფონდს ქმნის საქართველოს კანონიერი მოსახლეობა შემოწირულობების სახით. შემოწირულობებზე დაწესებულია მკაცრი ხარჯთაღრიცხვა.

მუხლი 29. ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების დასრულების შემდეგ საქართველოს ეროვნული კონგრესის სამანდატო კომისიას გადასცემს ყველანაირ საარჩევნო დოკუმენტაციას, რათა საჭიროების შემთხვევაში გადამოწმებულ იქნეს საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენელთა იურიდიული უფლებამოსილება.

მუხლი 30. ცენტრალური საარჩევნო კომისია იხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შესახებ. გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება. უფლება აქვს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქსა და უბანში საარჩევნო კანონის დარღვევის შემთხვევაში ბათილად ცნოს არჩევნების შედეგები და დანიშნოს ახალი არჩევნები.

მუხლი 31. საოლქო საარჩევნო კომისიები ყალიბდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბების დღიდან მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში.

მუხლი 32. საოლქო საარჩევნო კომისიები აწარმოებენ საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის შესრულების კონტროლს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე. წარმართავენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას და ხელს უწყობენ ცალკეულ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირთა ჯგუფებს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში.

მუხლი 33. საოლქო საარჩევნო კომისიები იხილავენ განცხადებებსა და საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობასთან დაკავშირებით.

მუხლი 34. საუბნო საარჩევნო კომისიები ყალიბდება საოლქო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბების დღიდან მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში.

მუხლი 35. საუბნო საარჩევნო კომისია მოსახლეობას გადასცემს ინფორმაციას არჩევნების დღისა და კენჭისყრის ჩატარების ადგილის შესახებ. ორგანიზაციას უკეთებს საარჩევნო კენჭისყრას.

მუხლი 36. საუბნო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა თავიანთ საარჩევნო უბნებში უნდა უზრუნველყონ საარჩევნო ფურცლების დარიგება საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რეგისტრირება. საარჩევნო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ამომრჩევლის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი.

მუხლი 37. საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეს ამომრჩეველი ცხადდება საარჩევნო უბანში, წარსდგება კომისიის წინაშე საარჩევნო ფურცლით, საუბნო საარჩევნო კომისია ახდენს მის რეგისტრაციას. ამომრჩეველი იღებს საარჩევნო ბიულეტენს, რომელზეც აღნიშნულია საქართველოს ეროვნული კონგრესის წარ[illegible] არჩევნო ყუთთან, კანდიდატთა საერთო სიიდან საზგადაუსმელს ტოვებს იმ პირის გვარს, სახელს და მამის სახელს, ვისაც აძლევს ხმას და ფურცელს აგდებს საარჩევნო ყუთში.

მუხლი 38. საქართველოს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატთა წამოყენება ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში მთავრდება არჩევნების დღემდე სამი კვირით ადრე.

მუხლი 39. საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ცალკეულ პოლიტიკურ პარტიად და ორგანიზაციად ჩაითვლება მოქალაქეთა ისეთი გაერთიანება, რომელსაც გააჩნია ყველა სხვა არსებული გაერთიანებისაგან მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით განსხვავებული პროგრამული და კონცეპტუალური პრინციპები, რომლის კვალიფიკაციას ახდენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 40. ეროვნული კონგრესის ყოველ კანდიდატს ცენტრალურ და საოლქო კომისიებში რეგისტრირების შემდეგ უფლება ეძლევა ჩაერთოს წინა საარჩევნო კამპანიაში. წინა საარჩევნო კამპანია ითვალისწინებს კონგრესის წარმომადგენლობის კანდიდატებს შორის ზნეობრივ და სამართლებრივ საწყისებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ დაპირისპირებას ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობის მოპოვებისათვის. საარჩევნო კამპანიის ფორმები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: მიტინგები, კრებები, სხვადასხვა სახის თავყრილობები. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას საარჩევნო კომისიათა სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენები, მასობრივი და საკუთარი საინფორმაციო საშუალებანი.

მუხლი 41. ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეს აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება.

მუხლი 42. ეროვნული კონგრესის არჩევნებში კენჭისყრა წარმოებს სპეციალურად გამოყოფილ შენობაში ფარული კენჭისყრის ჩატარების პირობების წინასწარი შემზადებით. კენჭისყრის ადგილი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ორი კვირით ადრე უნდა ეუწყოს ამომრჩევლებს საარჩევნო ფურცლების დარიგების დროს. პასუხისმგებლობა კენჭისყრის ორგანიზაციისათვის მთლიანად ეკისრებათ საარჩევნო კომისიებს.

მუხლი 43. კენჭისყრა წარმოებს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეს დილის 7 საათიდან 24 საათამდე, ერთი დღის განმავლობაში.

მუხლი 44. ყოველი ცალკეული ამომრჩეველი პირადად მონაწილეობს კენჭისყრაში. სხვის მაგივრად კენჭისყრაში მონაწილეობა აკრძალულია. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ გამოცხადდნენ არჩევნების ჩატარების ადგილზე, ამომრჩეველთა თხოვნის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია თავის წევრებს აგზავნის ასეთი ამომრჩევლების ადგილსამყოფელზე კენჭისყრის ჩატარების მიზნით.

მუხლი 45. კენჭისყრის ჩატარების შემდგომ თითოეული საარჩევნო უბნიდან საქართველოს დედაქალაქში ხდება გაუხსნელი და დალუქული, საგანგებოდ დაცული საარჩევნო ყუთების ტრანსპორტირება, რასაც უზრუნველყოფს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიები. საარჩევნო ყუთების ტრანსპორტირებამდე დაითვლება ყველა გამოუყენებელი ბიულეტენი და საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი აღნიშვნით ისინი გაუქმდება.

მუხლი 46. საარჩევნო ყუთების გახსნა ხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ზედამხედველობის წესით საზღვარგარეთის სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მუხლი 47. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საჯაროდ ქვეყნდება არჩევნების შედეგები, დგინდება გაცემული და გამოუყენებული ბიულეტენების რაოდენობა, ქვეყნდება საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში გამარჯვებულთა სია. დგება შესაბამისი ოქმები და ყოველივე ამის შემდგომ საარჩევნო ბიულეტენები და მთელი დოკუმენტაცია გადაეცემა ეროვნული კონგრესის სამანდატო კომისიას.

მუხლი 48. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს ეროვნულ ფორუმთან ერთად არჩევნებში გამარჯვებულ პირებს გადასცემს ეროვნული კონგრესის წარმომადგენლობის მანდატებს, რის შემდეგაც ეროვნული ფორუმი არსებობას წყვეტს.

მუხლი 49. ამ კანონით არჩეული წარმომადგენლობა შეადგენს ქართველი ერისა და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის პირდაპირი ნების გამომხატველ იურიდიული უფლებამოსილების მქონე სამართლებრივ სუბიექტს — საქართველოს ეროვნულ კონგრესს, რომელიც ოკუპირებულ, ანექსირებულ და უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ქვეშ მყოფ საქართველოში იქნება ერთადერთი კანონიერი ეროვნული და გარდამავალი ხელისუფლება რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის, ე. წ. სსრკ სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან და საქართველოში არსებულ მასზე დაქვემდებარებულ ადგილობრივ მარიონეტულ ძალებთან შეურიგებელ ოპოზიციაში მყოფი.

მუხლი 50. საბჭოთა იმპერიული ძალების ან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვა ძალების მიერ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებისათვის ხელის შეშლა გამოცხადდება ქართველი ერისა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ აქციად, რომელსაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აუცილებლად უპასუხებს მძლავრი, საყოველთაო, საპროტესტო პოლიტიკური აქციებით ეროვნული ფორუმის მოწინააღმდეგე ძალებისათვის სრულიად უმართავი სიტუაციის შექმნისა და არსებული პოლიტიკური მდგომარეობის ძირეული დესტაბილიზაციის მიზნით.

საქართველოს ეროვნული ფორუმი საქართველოს კანონიერ მოსახლეობას წარუდგენს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების კანონპროექტს საჯარო განხილვისათვის 1990 წლის 25 მაისამდე.

მამულიშვილნო! შენიშვნები, წინადადებები წარმოდგენილი კანონპროექტის გარშემო წერილობითი სახით გადმოგვიგზავნეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 29, საქართველოს ეროვნული ფორუმის შტაბბინა (ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი).

1990 წლის მაისის შემდგომ წარმოდგენილი კანონპროექტის გარშემო შენიშვნები აღარ მიიღება.

მიღებულ შენიშვნათა და წინადადებათა გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ფორუმი საქართველოს ეროვნული კონგრესის საარჩევნო კანონს დასამტკიცებლად წარუდგენს სრულიად საქართველოს ეროვნულ ყრილობას, სპეციალურად და საგანგებოდ მოწვეულს ეროვნული ფორუმის მიერ საარჩევნო კანონის დამტკიცები-

## როგორც დეტექტივი

# ვერცხლის თასის საიდუმლო

## ანუ

## რა ხდება სახელმწიფო არქივში

### (თხოვნა უნივერსიტეტის რექტორატს)

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა მუზეუმი. მუზეუმის არც ერთი თანამშრომლის ინიციატივით არ მომხდარა ეს. მისი შექმნის მოთავე, სხვებთან ერთად, მაინც ძეგლთა დაცვის საუნივერსიტეტო ორგანიზაცია იყო. უნივერსიტეტის რექტორატმა ერთობ მასშტაბური დამფუძნებელი კრება მოიწვია, სადაც ერთხმად აღინიშნა, რომ ეს მუზეუმი აქამდეც უნდა შექმნილიყო, თუმცა ჩვენ, როგორც ყოველთვის, ბევრგან ვაგვიანებთ, მაგრამ ხომ თქმულა, „სჯობს გვიანო"... მუზეუმს ბევრი სასიკეთო სურვილი უსურვეს და მეტად საპასუხისმგებლო საქმე დააკისრეს — იგი უნდა გამხდარიყო უნივერსიტეტის ისტორიის პირუთვნელი მემატიანე, მაგრამ აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ სურვილები სურვილებად დარჩა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პასუხი მოუთხოვია მისთვის მერე ვინმეს.

ძველმა უნივერსიტეტელებმა მუზეუმის თანამშრომლებს მოგვაწოდეს სია იმ საიუბილეო საჩუქრებისა, რომლებიც უნივერსიტეტმა მიიღო 1968 წელს. ბევრი მათგანი მოვიძიეთ, ბევრის კვალსაც ვერ მივაგენით (განსაკუთრებით კი, ძვირფასი ნივთები არ ჩანდა). ამ სიაში ერთი ვერცხლის თასიც იყო მოხსენიებული. მივაკითხეთ ბუღალტერიას. როგორც წესი, სახელმწიფო ქონებას თავისი პასუხისმგებელი პირი ჰყავს და ეს საბუღალტრო დოკუმენტებში მკაცრადაა ხოლმე აღრიცხული. აღნიშნული ვერცხლის თასი ჩამოწერილი აღმოჩნდა, სხვა ძვირფასი ნივთების კვალი კი აღარსად იყო. თასი ჩამოწერილიაო, ეწერა ქაღალდზე, რატომ და რისთვის, ეს კი არ ჩანდა. გაგვიკვირდა ჩვენც და იმ ბუღალტერსაც, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა სხვისგან ჩაბარებული (მისი წინამორბედი უკვე აღარ მუშაობდა აქ). ვიფიქრეთ, რა უნდა დამართოდა ვერცხლის თასს, რომ ჩამოეწერათ და გადაეგდოთ: მინასავით ვერ გატყდებოდა, წიგნივით ვერ დაიხეოდა, ხალიჩასავით ვერ გაცვდებოდა, სავარძლივით ვერ დაიმტვრეოდა. ერთი სიტყვით, ისე დაგვაინტერესა ამ ამბავმა, აქტის ნახვა მოვინდომეთ. მას უნდა აეხსნა ეს საოცრება, მაგრამ ნურას უკაცრავად, გაირკვა, რომ ამგვარმა აქტებმა ხუთ წელიწადს თუ გაუძლეს, კარგი საქმეა. ხუთი წლის მერე კი ისინი განადგურებას ექვემდებარება! ასეთი ყოფილა წესი და კანონი! (ასე გვითხრეს ბუღალტერიაში).

ეს არც ხუმრობაა და არც ირონია. მით უფრო, რასაც ქვემოთ გიამბობთ, სიმწრის ღიმილსაც ვერ მოგგვრით.

უნივერსიტეტის 70 წლისთავიც ახლოვდებოდა, რექტორატი საიუბილეოდ აპირებდა მუზეუმის გახსნას და ექსპოზიციის გაკეთებას ვჩქარობდით, თანაც ვერცხლის თასის ამბავიც გვაინტერესებდა, რომლის შესახებ ჩვენს ბუღალტერიაში ვერაფერი შევიტყვეთ, და იმ დროიდან აქტიური მუშაობა დავიწყეთ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სახ. არქივში (დირექტორი ბ. დალაქიშვილი), სადაც ინახება უნივერსიტეტის საარქივო დოკუმენტები.

ეს გახლავთ უნიკალური მასალა არა მარტო უნივერსიტეტის წარსულით დაინტერესებული მკვლევარისათვის, არამედ ყველასთვის, ვისაც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა უნდა, რადგან უნივერსიტეტი ხომ დაარსების დღიდან ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილია. ამ ქაღალდების თითოეული სტრიქონი გარდასული დღეების ყველაზე მართალი მოწმეა, რადგან ის იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის, პეტრე მელიქიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ბოლოს, ივანე ჯავახიშვილის ხელით იწერებოდა. ამ დოკუმენტებში მოთხრობილია, დღითიდღე როგორ ისხამდა ფრთებს ჩვენი ხალხის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ოცნება, როგორ იბადებოდა ქართული უნივერსიტეტი, როგორ იზრდებოდა, როგორ ეცემოდა, როგორ დგებოდა, მარცხდებოდა და იმარჯვებდა და მასთან ერთად რა კატაკლიზმებს განიცდიდა ქართველი ერი XX საუკუნეში.

მაშინ, მუზეუმის დამფუძნებელ კრებაზე, ისიც ითქვა, რომ უნივერსიტეტის არქივი დროთა განმავლობაში უნდა დაბრუნებოდა მის კანონიერ მფლობელს და ჩვენს მუზეუმში დაედო ბინა, მაგრამ რაკი ჯერ-ჯერობით მისი შენახვის არავითარი პირობები არ გაგვაჩნდა, ეს სამომავლო გეგმად გვესახებოდა. მართლაც, არქივი ხომ ერთ-ერთი ყველაზე საიმედო დაწესებულებაა, რომელიც ყველაზე მეტად არის დაცული ნებისმიერი საშიშროებისგან. თვით სახელმწიფო გადატრიალების დროსაც კი არქივებს კეტავენ ლუქავენ, მაგრამ არ ანადგურებენ და ძერე ოდესმე კვლავ ხსნიან.

უნივერსიტეტსაც ეგონა, რომ თავისი წარსული საიმედო ადგილზე ჰქონდა შენახული.

მაგრამ, ვაი, რომ ეგონა...

პირდაპირ განვაცხადებთ, რომ არქივში დოკუმენტები განადგურების პირასაა მისული, ფურცლები ამოცვენილია ყდებიდან, დახეულია და რაც მთავარია, ხშირი ხმარებისაგან ისეა გაცრეცილი, წაკითხვა ჭირს.

ჩვენ მოვინდომეთ ასლების დამზადება და არქივის დირექტორს ბატონ ბ. დალაქიშვილს მივაკითხეთ. უარი არ უთქვამს, მხოლოდ განაცხადა, რომ ლაბორატორიაში ტექნიკური შეფერხება იყო და ცოტა ხანს უნდა მოგვეცადა, — დიდ ხანს მოგვიხდა ლოდინი. მერე ჩვენი თხოვნით, უნივერსიტეტის რექტორმა ბატონმა ნ. ამაღლობელმა წერილობით მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ზ. ჩხეიძეს (ეს იყო 1988 წლის 16 სექტემბერს), რათა დაევალებინა საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალური არქივების სამმართველოსათვის, დაემზადებინა დოკუმენტების ასლები. ზ. ჩხეიძემ სამმართველოს უფროსს მისწერა: „გთხოვთ აღმოუჩინოთ დახმარება" (12/X-1988, № 306 (38). ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, რა ქვეტექსტი იმალებოდა ამ სიტყვების მიღმა, ფაქტი კია, რომ არქივების სამმართველოს უფროსმა ბატონმა ა. მანელაშვილმა დახმარება აღგვითქვა... სამი თვის შემდეგ. მივაკითხეთ 1989 წლის იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილშიც კი... ვითხოვდით, ვახსენებდით ვაწუხებდით უარი არასოდეს უთქვამს, ისიც თავაზიანად გვახსენებდა, რომ ლაბორატორიამ ვერ გამონახა დრო. ჩვენ ვახსენებდით, რომ უნივერსიტეტის მასალები ისეთ მდგომარეობაშია, რომ არ შეიძლება მათზე მუშაობა, რომ ორიგინალები აღარ უნდა მიეცეთ მკვლევარებს, საჭიროა სასწრაფოდ დამზადდეს სამუშაო ქსერო-ასლები არქივისათვის, თითო ეგზემპლიარი კი — ჩვენთვის. მიკრო ფირზე გადაღება ვითხოვეთ — ლაბორატორიამ, ფირი არა გვაქვსო, ფირი ვიშოვნეთ — დრო არა გვაქვსო და ა. შ.

კვლავ ბ-ნ ბ. დალაქიშვილს მივაკითხეთ, შევახსენეთ სათხოვარი. მან კვლავ ტექნიკა მოიმიზეზა. მერე ვთხოვეთ. მოეცა (რექტორატის შუამდგომლობით) დოკუმენტები დროებით სარგებლობაში (ამისი პრაქტიკა არსებობს), რომ ჩვენ უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დაგვემზადებინა ასლები. ბატონმა ბ. დალაქიშვილმა ისეთი თვალებით შემოგვხედა, არქივიდან დოკუმენტების გატანა ვინა თქვაო, შეგვრცხვა. არადა, ამ ფონდის ისტორიას თუ ჩახედავს კაცი, ნახავს რომ 1966 წლიდან მოყოლებული არქივს უნივერსიტეტისათვის არაერთხელ უთხოვებია დროებით სარგებლობისათვის მასალა. უნივერსიტეტი ხომ ამ ფონდის შემქმნელია, მას ცოტა მეტი უფლებაც აქვს. როგორც ჩანს, ამის შესახებ იცოდა არქივის ადრინდელმა ხელმძღვანელობამ.

ბოლოს ბატონმა ა. მანელაშვილმა და ბატონმა ბ. დალაქიშვილმა მორიგი ვიზიტის დროს შეგვახსენეს, რომ თურმე ჩვენ მთელი ფონდის ასლები გვდომებია (ჩვენ 471-ე ფონდის I აღწერილობას ვითხოვდით), აბა, მთელი ფონდის დუბლირების უფლებას ვინ მოგცემთო? ჩვენ ჰარვარდის უნივერსიტეტი შევახსენეთ, ცოტა ხნის წინ საქართველოს დროებითი მთავრობის მთელი არქივის მიკროფირები რომ გამოგვიგზავნა, ბატონმა ალექსანდრემ ნაღვლიანი ღიმილით გვკითხა, ჰარვარდის უნივერსიტეტს ვედრებითო?!

კარგი კი იქნებოდა, სურვილი მაინც გვქონოდა, ბევრ რამეში მივგვებაძა თუნდაც ჰარვარდის უნივერსიტეტისათვის, ჩვენსას გავფრთხილებოდით ისე, როგორც ისინი უფრთხილდებიან სხვისას, ხომ არ მოხდებოდა ის, რაც ა. წ. 6 თებერვალს მოხდა არქივში!

დაიკარგა 471-ე ფონდის საქმე № 2, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმები, რომელიც იწყება 1917 წლის 26 ნოემბრიდან და მთავრდება 1926 წლის 21 ივნისით. ეს გახლავთ უნივერსიტეტის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი: დაარსების, პ. მელიქიშვილისა და ივ. ჯავახიშვილის რექტორობის ხანა, რომლის თითოეული გვერდის (264 ფურცელი) ისტორიული მნიშვნელობა განუზომელია.

როგორც ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის (რა უცნაური სახელწოდებაა) სახ. არქივის ფონდების განყოფილების გამგე ქალბატონი ქ. მთვრალაშვილი ამბობს, მან 6 თებერვალს, დილით თავის სამუშაო კაბინეტში შეიტანა აღნიშნული საქმე, რათა მოეძებნა ცნობები უნივერსიტეტის შენობაში არსებული ეკლესიის შესახებ, რომ ნათელი მოეფინა ამ ბოლო დროს პრესაში დაწყებული კამათისათვის, რომელიც მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ეფუძნებოდა. ვერაფერს იტყვი, არქივის თანამშრომელს უფლება აქვს, რაზეც უნდა, იმაზე იმუშაოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მის კაბინეტში, რომელიც მზის გულს ეფიცხება და ძველი ქაღალდისათვის ვერაფერი სახარბიელო პირობაა, რკინის კარადაც კი არ დგას, რომ მასში კაცმა ძვირფასი დოკუმენტი ჩაკეტოს. თანაც შესვენებაზე გამოსვლისას, კაბინეტის კარის გასაღები ჯიბეში კი არ ჩაიდო, სათანადო დაფაზე ჩამოკიდა. შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ ნახა, რომ საქმე აღარ იყო მაგიდაზე, მის მიერ გაკეთებული ჩანაწერები კი დაჭმუჭნილი ეყარა. მეორე დღეს ქ. მთვრალაშვილმა არქივის დირექტორს ბ. დალაქიშვილს მოახსენა საქმის დაკარგვის შესახებ. გამოაძახებინა სამეურნეო სამსახურის უფროსი ა. თაბაგარი და მოითხოვა ჩხრეკის ჩატარება. ბ. დალაქიშვილმა და ა. თაბაგარმა უარი განაცხადეს ჩხრეკაზე, რადგან ამას ა. მანელაშვილის განკარგულება სჭირდებოდა.

როგორც საარქივო სამმართველოს დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფისა და აღრიცხვის განყოფილების უფრ. ინსპექტორმა ბატონმა ჯემალ შაიშმელაშვილმა განგვიცხადა, ამ ინციდენტის შესახებ სცოდნია მთავრობის კომისიასაც, რომელიც გაზეთ „ლი-

(დასასრული მე-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭი მოვლა-პატრონობისა

## მუსიკალური დარგის მმართველობის ნაკლოვანებების შესახებ

**აქვე** დავძენ, რომ გაყალბებულია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" (1987 წლის № 6) გამოქვეყნებული 1986 წლის დეკემბერში გამართული საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი პლენუმის დისკუსიის ანგარიში, რომლის სათაურია: „განა ყველანი ვმონაწილეობთ გარდაქმნაში?" (პუბლიკაციის შემდგენელია კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, ამავე ჟურნალის განყოფილების გამგე ქალბატონი მანანა ახმეტელი). ამ ფაქტის გამო ღია წერილით მივმართე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას და ვთხოვე საჯაროდ განხილულიყო ეს წერილიც, მაგრამ მიუხედავად არაერთგზის მოთხოვნისა, უკვე ორ წელზე მეტია საკითხი ადგილიდან არ დაძრულა. ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის, საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით ქართველ მუსიკოსებს არა ერთხელ მიუმართავთ კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოსათვის, მაგრამ მათი ხმა დღემდე რჩება „ხმა მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

სამაგიეროდ, კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოში შესაშური ოპერატიულობით წყდება თვით მდივნებს შორის პრემიებისა და „ჩინ-მედლების" განაწილების საკითხი. ამის დასტურად გამოდგება 1985 წლის 26 სექტემბრის სამდივნოს სხდომის ოქმი, რომელშიც ამოვიკითხავთ „ამბავს" იმის შესახებ, თუ ერთ სხდომაზე როგორ გაინაწილეს ერთმანეთში კომპოზიტორთა კავშირის მდივნებმა ლენინური, სახელმწიფო, ზაქარია ფალიაშვილისა და „ხუთწლედის მატიანეს" პრემიაზე წარდგინება. ამ შემთხვევაში ნაწარმოებებისა და მისი ავტორების პრემიებზე წარდგინების მიზანშეწონილობას კი არ ვხდი სადაოდ, არამედ თვით წარდგინების პროცესსა და ფორმას. საოცარია, რომ მდივნებმა ამ საკითხის გადაწყვეტას საკუთარ კაბინეტშივე დაუსვეს წერტილი, მაშინ, როცა ოთხი თვით ადრე მათვე გადაუწყვეტიათ, რომ პრემიებზე წარდგენა უნდა მოხდეს საჯაროდ, ფარული კენჭისყრით გამგეობაზეო, რასაც გვამცნობს ამავე წლის 14 მაისის სამდივნოს სხდომის ოქმი.

აი, სწორედ ასეთ ფსიქოლოგიას, ასეთ უარსაყოფ მიდრეკილებებს რომლებიც წლების მანძილზე ფეხმოკიდებულია ჩვენს საზოგადოებაში, ესაჭიროება გარდაქმნა. მუშაობაში მოჩვენებითობა, ფალსიფიცირებული პუბლიკაციების შექმნა და მისი გამოქვეყნება, საკითხებთან ისეთი მიდგომა, როცა მხოლოდ საკუთარი თავის ინტერესები გინდა დაიცვა, გამოიყენო თანამდებობრივი მდგომარეობა და ანგარიში არ გაუწიო საზოგადოებას, ეს არის ჩვენი დარგის მმართველობის სისტემის აბსოლუტური ულოგიკობის აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი.

თბილისის საოპერო თეატრში წამოჭრილ პრობლემებს მიეძღვნა საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელიც აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა შარშან ივნისში. საოპერო თეატრის სოლისტთა ერთმა ჯგუფმა თეატრის ხელმძღვანელობას წარუდგინა მოთხოვნები, რომლებიც რეპერტუარში ეროვნული ნაწარმოებების შეტანის გარდა აყენებდნენ მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებში ცვლილებების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ სოლისტთა მოთხოვნების დიდი ნაწილი თეატრის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა და იგი საბოლოოდ მიღებულ იქნა, სამწუხარო ის არის, რომ სოლისტთა აქტიურობას და ინიციატივას თეატრის ადმინისტრაცია მაინც უკმაყოფილებით შეხვდა. შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია და საქმე იქამდე მივიდა, რომ სახელოვანმა მომღერლებმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა მაია თომაძემ და ალიკო ხომერიკმა ჩვენი საოპერო თეატრის წამყვანმა სოლისტმა რევაზ ლაგვილავამ დატოვეს თეატრის სცენა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ოპერის თეატრის დღევანდელი ხელმძღვანელობა ვერ შეჰგუებია „ქვევიდან" კრიტიკას, ვერ აუთვისებია დიალოგის ფორმა. დასანანი იყო აგრეთვე თეატრის ხელმძღვანელობის განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი თურმე არც მომავალში აპირებენ გადახედონ თავიანთი მუშაობის მეთოდებს.

ჩემთვის დამაფიქრებელი აღმოჩნდა კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრთა ერთსულოვანი დამოკიდებულება საოპერო თეატრში შექმნილ მდგომარეობასთან, მათ ვერ გადალახეს მსჯელობის ისეთი პრინციპი, როცა თავს მოვალედ სთვლიან მხარდაჭერა გამოუცხადონ „ძლიერთა ამა ქვეყნისას".

დამაფიქრებელია საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის ახლანდელი მდგომარეობაც. ჩვენი მუსიკალური ცხოვრების გააქტიურებას დიდად შეუწყობდა ხელს ამ შემოქმედებითი კოლექტივის ინტენსიური საკონცერტო მოღვაწეობა, თუმცა მისი ძირითადი საქმიანობა ეთერისთვისაა განკუთვნილი. ვიდრე საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრი ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობას მოკიდებდეს ხელს, პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს კოლექტივი მოვამარაგოთ ხარისხიანი მუსიკალური საკრავებით, ორკესტრი დაკომპლექტდეს მუსიკოს-შემსრულებლებით.

ამ სამი წლის წინათ ნოვოსიბირსკიდან მოიწვიეს რსფსრ დამსახურებული მოღვაწე ბორის პევზნერი და დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად. ამ ფაქტმა მუსიკალურ წრეებში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. ზოგს მიაჩნდა, რომ ეს ნაბიჯი სწორი იყო, რაც ბორის პევზნერის მოღვაწეობის ფართო აღიარებითა და პროფესიული სრულყოფილებით აიხსნებოდა, ზოგი კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართულ კაპელას მოელოდა შემოქმედებაში ეროვნული კონცეფციის დაკარგვის საშიშროება. გორის ბოლო საგუნდო ფესტივალზე საქართველოს საგუნდო კაპელის მიერ გამართული კონცერტით კიდევ ერთხელ აღმოვჩნდით იმ ფაქტის წინაშე, როცა მუსიკალური ორგანიზაციების მესვეურებმა, ანუ ვინც მოიწვია და დანიშნა ბ. პევზნერი კაპელის ხელმძღვანელად, არ გაითვალისწინეს საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნების მრავალი ფაქტორი, რომლებიც დაკავშირებულია მთელ რიგ ფსიქოლოგიურ და, თუ გნებავთ, სოციალურ მომენტებთანაც. მოხდა ის, რომ განჭვრეტილი არ იქნა ეროვნული საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების მთლიანი პანორამა. ამის შედეგად კი კაპელის კოლექტივში შეიქმნა რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კოლექტივის ფუნქციონირების მკვეთრი დაქვეითება. ამ წერილის გამოქვეყნებამდე ბ. პევზნერი გათავისუფლდა კაპელის ხელმძღვანელობიდან. იგი ახლა ქართული ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრაზე (?!).

დაფიქრება რესპუბლიკის მუსიკალურ პრობლემებზე მრავალ შეკითხვას აღძრავს:

აღმოაჩნდებათ ქართველ მუსიკისმცოდნეებს, კრიტიკოსებს პროფესიული პასუხისმგებლობა ერის წინაშე, სთქვან სიმართლე, ემსახურონ ჭეშმარიტებას მაშინ, როცა მათი დიდი ნაწილი დაავადეს შიშის, კონიუნქტურისა და ფარისევლობის სენით?

რატომ არის, რომ კომპოზიტორთა კავშირი მდივნების „ინსტიტუტადაა" გადაქცეული, ხოლო ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელთა „მოღვაწეობის პროგრამა" ისეთ „განწყობის თეორიას" ეყრდნობა, რომელიც ყოველთვის ცდილობს ჭეშმარიტება თავის საკუთრებად გამოაცხადოს?

ან, განა შესაძლებელია, ჩვენი ქალაქის სიმფონიური მუსიკის სეზონის დადებითი მხარეების დადგენისას, მთლიანი სურათი შეგვიქმნას მხოლოდ მისმა საზეიმო გახსნამ და საზეიმო დახურვამ?

ნუთუ დღეს, როცა ნათლად ვხედავთ, თუ როგორი სერიოზული პრობლემების წინაშეა რესპუბლიკის ორი მეტად მნიშვნელოვანი სამხატვრო კოლექტივი, საოპერო თეატრი და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, კიდევ დიდხანს იქნება შესაძლებელი მათი ერთმმართველობის ქვეშ ყოფნა? იმასაც ხომ ვხედავთ, რომ ბატონი ჯ. კახიძე ისეა გადატვირთული საგასტროლო ტურნეებით, რომ მას ელემენტარულად დროც არ ყოფნის, თუნდაც ერთ კოლექტივთან თანმიმდევრულად წარმართოს მუშაობა?

პრობლემების მიჩუმათებას დაჩვეული საქართველოს კულტურის სამინისტრო შესძლებს თავი გაართვას მუსიკის დარგში მიმდინარე რთულ პროცესებს?

კითხვების რიცხვი შეიძლება უფრო დიდი ყოფილიყო (ან უფრო პატარა), მაგრამ, ამით ვერავინ შესძლებს უარყოს **ქართული მუსიკალური ცხოვრების სამაგალითო წარმატებები(!)**, რომლებიც ჩვენს მუსიკალურ კულტურას საკმაოდ მოეპოვება. ისეთ სიტუაციებში კი, როცა მუსიკალური ცხოვრება სოციოლოგიურ ჭრილში არ განიხილება, ძნელდება წარმოდგენა ვიქონიოთ მის სინამდვილეზე, მითუმეტეს ძნელი ხდება დავსახოთ მისი შემდგომი განვითარებისა და წინსვლის გზები.

თითქოს არ უნდა გვემართებოდეს ასეთი რამ, მაგრამ მიზეზშეგეგობრიობის ფესვებს თუ ჩავყვებით, დამაფიქრებელიც ბევრი ამოყოფს თავს... საქმე იმაშია, — როგორც ბატონი გიგა ლორთქიფანიძე ამბობს — „პირველი უბედურება, საიდანაც ყველაფერი იწყება არა მარტო ხელოვნებაში, არამედ ცხოვრებაშიც, ეს არის განუსაზღვრელი ძალაუფლება, ეს საშინელი რამ არის. ერთი ორი კაცის მეშვეობით არ შეიძლება წყდებოდეს მთელი ქართული კინოს, თეატრის, მუსიკის ბედი". ბატონ გიგას ეს სიტყვები ჩვენი ცხოვრების სინამდვილემ ათქმევინა და თუ ზემოთ მოყვანილ ტექსტს ჩავუკვირდებით, მაშინ დღეს აღარავისთვის არაა დასამალი, რომ მუსიკალური დაწესებულებების მმართველ მუსიკოსთა ჯგუფს ხალხი მაფიასაც კი უწოდებს, და თუ ეს ასეა, მაშინ კარგად მოგვეხსენება, რომ მაფიას თავისი ცხოვრების წესი აქვს და ნურავინ იფიქრებს იმას, რომ ეს წესი თავისით შეიცვლება.

მუსიკალური ორგანიზაციების მართვის სისტემა საფუძვლიან შესწავლას და სათანადო დასკვნების გამოტანას მოითხოვს, მაგრამ წინასწარ მაინც ცხოვრებასთან ახლებურად მიდგომამ ჩვენს წინაშე უამრავი პრობლემა წარმოაჩინა, ბევრი საკითხია გადასაჭრელი და გასაანალიზებელი, ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება ადამიანის ფსიქოლოგიასაც, ფსიქოლოგიაში ცნობილი ეგრეთ წოდებული ადაპტაციური პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ადამიანის გარემოსთან ურთიერთობა უნდა გავიაზროთ როგორც შეგუების პროცესი, იმდენად საინტერესოა ჩვენთვის, რამდენადაც მას შეუძლია ხელი შეგვიმალოს ადამიანის პროფესიულ-ცხოვრებისეულ დანიშნულების დადგენაში. ადამიანის, რომელიც დღეს ცდილობს მოერგოს ჩვენი საზოგადოების დღევანდელ მოთხოვნებს, გახდეს დემოკრატი, გულმოწყალე, ქველმოქმედი და პატრიოტი კაცი, მაშინ, როცა, ჯერ კიდევ გუშინ საკუთარი კეთილდღეობისათვის სწირავდა ეროვნულ კულტურას, უარყოფდა საზოგადოების ინტერესებს, შეპყრობილი იყო „მონოპოლისტის" დაუოკებელი ჟინით, მოჩვენებითობა ჰქონდა გამჯდარი სულსა და ხორცში. ასეთი ადამიანისათვის ჩვენი დღევანდელი ცხოვრების გამოჯანსაღებისა და წინსვლის „გარდაქმნილი" ქცევა ზედაპირულად შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც სწორი და ჯანსაღი მოქმედება. ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელია და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციების (და არა მარტო მუსიკალური) მმართველობის სისტემაში.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მმართველობის კოეფიციენტი უნდა განიზომებოდეს მუსიკალური ორგანიზაციების ფუნქციონირებით, მათი ზნეობრივი აქტით ეროვნული მუსიკალური კულტურის წინაშე, მისი განვითარებით და წინსვლით, საერთო პანორამის გაანალიზებით, ოღონდ **ცოცხალ სინამდვილესთან (!)** შეთავსებული. ამ უკანასკნელის დადგენა ჩვენს მუსიკალურ ყოფაში დღევანდელ ეტაპზე თითქმის შეუძლებელი ხდება, რადგან ცნობილია, რომ სინამდვილის კრიტერიუმად ცხოვრებისეული პრაქტიკაა მიჩნეული. ჩვენი მუსიკალური ყოფის მრავალწლიანი პრაქტიკისათვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმართლის თქმა და გულწრფელობა „უცხო ხილი" იყო, ცხოვრება თვითდინებას, ემოციებს იყო მინდობილი და საწუხაროდ ახლაც ასე გრძელდება.

მუსიკალური დაწესებულების მართვაში წუნი საგრძნობლად შემცირდებოდა, თუ საკითხებზე მსჯელობისას ვიტყოდით სიმართლეს, ერთმანეთს მოვუსმენდით და, სხვათა შორის, ვიხელმძღვანელებდით ზნეობრივი ნორმებით... თუ ჩვენ არ ვეთანხმებით კრიტიკულ შენიშვნას, მაშინ ჩვენი საწინააღმდეგო მოსაზრება გონივრული, პროფესიული განსჯით უნდა განვამტკიცოთ და არა იმგვარი ხერხებით, რომელიც ადამიანის დისკრედიტაციისათვის უფროა გამიზნული.

დარწმუნებული ვარ, რომ ზემოთ გამოთქმულის შესახებ, ოპონენტებს გაუჩნდებათ საპირისპირო აზრი, ხოლო ეს უკანასკნელი გავრცელდება მათ „ამალაში" და მათდამი მხარდაჭერაც ალბათ გარანტირებულ იქნება. რაც შეეხება „ამალას", ისიც უნდა ითქვას, წარმატების დაჩქარების ჟინით შეპყრობილი ადამიანები არ კმაყოფილდებიან მოვლენების ბუნებრივი მსვლელობით და პარტნიორობას უწევენ თავიანთ „ბედის მწარმოებლებს", რის შედეგადაც საკუთარი კარიერის ასპარეზზე მადლიერების ნაყოფსაც იმკიან, ამიტომ არის, რომ მუსიკოსებში წარმოიშვა ე. წ. დამორჩილებულთა უმრავლესობა და თავისუფალი უმცირესობა. ზარალდება ჭეშმარიტება. ამ მოვლენების არსებობა ყოვლად მიუღებელია, რამეთუ ხელოვნება ეწირება ანგარებას, არაზნეობრივ საქციელს.

დღეს მოწმენი ვხდებით იმისა, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა, დადგა „გონივრული პატრიოტიზმის" ხანა. ქართველი ხალხი დაფიქრდა თავის მდგომარეობაზე. იქნებ თითოეულმა ჩვენგანმაც გავჩხრიკოთ ჩვენში გამჯდარი გაშმაკებული ფიქრი, გარდავქმნათ ჩვენი დამახინჯებული ცხოვრება, რომლის ეფექტურობა დიდად იქნება დამოკიდებული ისევ და ისევ მუსიკალური კულტურის მართვის ხელოვნებაზე. მმართველობას კი კულტურის ნებისმიერ დაწესებულებაში ადამიანები აწარმოებენ და თუ ვხედავთ, რომ მათ ვერ შესძლეს სათანადოდ დაუფლებოდნენ ამ ხელოვნებას, ამას შესაფერისი რეაგირება უნდა მოჰყვეს.

**თენგიზ ზავლოხაშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 45.

# საუბარი ე. წ. თურქი-მესხების შესახებ

(დასასრული)

ტიკე ახსოვთ თურქთაგან და როცა ამ ხალხის მონათხრობს მოისმენ... შეუძლებელია ანგარიში არ გაუწიო მათ მოთხოვნას — არავინ არ ჩამოგვიასახლოთ!

მართლაც, დროა ყური დავუგდოთ ერთმანეთის სურვილს, მითუმეტეს, როცა ეს სურვილი საფუძვლიანია და მთელი ერის ინტერესიდან გამომდინარეობს.

და ბოლოს ბატონმა ლოვარდმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა უბედურებას მოუტანს საქართველოს „თურქი-მესხების" დაბრუნება...

ცხადია, ამ შეხვედრისას არავის დავიწყებია დვალიძეები, ელიაშვილები, ჩიტაძეები... მრავალი ათასი ქართველის ბედი, რომლებიც დროის ულმობელმა ტრიალმა მშობლიურ მიწას მოსწყვიტა, მაგრამ ფესვები მაინც იქ, მესხეთში დარჩათ. მართლაც ცოდოა ეს ხალხი, რომლებიც ჯვარს ეცვენ და ქართველობა მაინც შეინარჩუნეს. მაგრამ ისევ საქართველოს სიყვარულმა უნდა აპოვნინოს მათ მოთმინების ნიჭი.. დღეს ძალიან, ძალიან უჭირს საქართველოს, ჩვენ მიწა აღარ გვაქვს თავისუფალი. დასაბინავებელი გვყავს სვანები და აჭარლები, გვიჭირს ფიზიკურად, მორალურადაც, „ამიტომ ვერც ერთ „თურქ მესხს" ვერ დავაბრუნებთ. ვფიქრობთ, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიამაც ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს...

ასეთია ბატონ თეიმურაზ ...



ხაშვილის პოზიცია „თურქი მესხების" პრობლემასთან დაკავშირებით. დამსწრე ჟურნალისტებიდან მხოლოდ ერთმა ჟურნალისტმა ...

ლმა კამილა კორინთელმა გამოთქვა თავისი საწინააღმდეგო აზრი, რომ „თურქი-მესხების" საქმის სამომავლოდ გადადება არ შეიძლება. დანარჩენებს კი ერთიანი აზრი ჰქონდათ, რომ ეროვნულ საკითხს ფრთხილი გაშუქება უნდა, და არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველ სიტყვას, ყოველ გადაწყვეტილებას მოუთმენლად ელოდება ერი, ერი გამოღვიძებული, ფხიზელი, თვალითა და გონებით დადარაჯებული, რომელიც ერთ შეცდომასაც არ გვაპატიებს...

**მზია აბრამია,**
**ლელა ჯოლოკიშვილი**

# ვერცხლის თასის საიდუმლო

(დასასრული)

ტერატურულ საქართველოში“ პოეტ ი. ორჯონიკიძის წერილის დაბეჭდვის შემდეგ მუშაობს არქივში. ჩვენ მივაკითხეთ ამ კომისიის თავმჯდომარეს აკად. მ. ლორთქიფანიძეს. ქალბატონ მარიკას ელდა ეცა ამ მოულოდნელი საშინელების გაგონებისას. გაირკვა, რომ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სახ. არქივის დირექტორს ბ. დალაქიშვილს ა. წ. 9 თებერვალს კომისიისათვის მიურთმევია ინფორმაცია თავისი ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ორი დღის წინ დაკარგულ საქმეზე სიტყვაც არ წერია შიგ. ქალბატონ მარიკას მხოლოდ მას მერე გააცნეს მთავარი სამმართველოს კოლეგიის გადაწყვეტილება (29.03. 1990) მომხდარი ინციდენტის თაობაზე, როცა თვითონ მოითხოვა.

ბატონმა ჯ. შაიშმელაშვილმა ისიც გვითხრა, რომ არსებობს, დაკარგული საქმის ჯერ კიდევ 1961 წელს გადაღებული სადაზღვევო ფონდი, რომლის მიხედვით შესაძლებელია მისი აღდგენა. ღმერთმა გისმინოთ, ბატონო ჯემალ! მაგრამ თქვენსავე თანამშრომლებს ეპარებათ ეჭვი, აქედან რამე გამოვიდეს, თანაც, თქვენ ხომ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ, მას არავითარი იურიდიული ძალა არ ექნება.

შეიძლება ვცდებით, მაგრამ არქივის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს მაინცდამაინც დიდი შეშფოთება და შეძრწუნება ვერ შევატყეთ. არც ქ. მთვრალაშვილს შეუძრავს მთელი ქვეყანა, არადა, მთელი პასუხისმგებლობა ხომ მას ეკისრება!

ფონდის მცველები ნ. ხუციშვილი და ქ. მესხრიკაძე საკუთარი ინიციატივით წასულან მილიციის განყოფილებაში, მაგრამ საქმის ალსაძრავად სამმართველოს უფროსის მიწერილობა აღმოჩნდა საჭირო. ბოლოს შეხვდა ლ. მთვრალაშვილი ა. მანელაშვილს, მაგრამ... 6 თებერვლიდან ორ თვეზე მეტი გავიდა, სასამართლოში კი დღესაც არ არის საქმე აღძრული. არადა, კანონის თვალსაზრისით, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია. ეს შემზარავი ფაქტია და უნივერსიტეტისათვის თავზარდამცემი ამბავი გახლავთ, ეს მისი ისტორიიდან საუკეთესო, ყველაზე საინტერესო წლების ამოშანთვაა, ეს საშინელი დანაშაულია.

მეორე მხრივ, იქნებ ლოგიკური შედეგიცაა იმ უსულგულობისა, რასაც ამ უძვირფასესი არქივის მიმართ იჩენდა ეს ორგანიზაცია.

ფონდების სიის მიხედვით, უნივერსიტეტის დოკუმენტები არქივში 1940 წელს შესულა, ამის შესახებ აქტი ვერ მოვიძიეთ. იგი გადამუშავებულა 1967-77 წლებში, მაგრამ ვაი, რომ გადამუშავება არ ნიშნავს მხოლოდ რესტავრაციას, ან უფრო სწორედ, სულაც არ ნიშნავს რესტავრაციას. დროდადრო სპეციალური კომისიები რომლებიც, რასაკვირველია, დებულების მიხედვით მოქმედებენ, საცავების გაცლის მიზნით, თავს ესხმოდნენ არქივს და „სამეცნიერო-ისტორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულ“ დოკუმენტებს „გასანადგურებლად გამოყოფდნენ“. და ეს ხდებოდა ,ისე, უღელვებლად, თითქოს საქმე ეხებოდა თქვენი მონა-მორჩილის დაბადების მოწმობას, რომელიც სადღაც რაიონის არქივში ინახება და მისი ასლის გადაღება მასაც ან ღას ჰირდება ან არა. ლაპარაკია თბილისის უნივერსიტეტის არქივზე და რომელ წლებზე!... ამაზე ითქმის ჭეშმარიტი უნიტარიზმი! ა, რაღა გასაკვირია, რომ უნივერსიტეტის ბუღალტერია ხუთი წლის მერე ანადგურებდეს აქტებს და ვერცხლის თასის საიდუმლოც მარად ამოუხსნელი დარჩეს, ჩვენ, ყველას ხომ ერთიანი კანონებით გვიწევს არსებობა.

საკითხავია, რა შეუმცდარ ალღოს ანიჭებს არქივის კომისიებს საკავშირო დებულებები, 1919 წლის უნივერსიტეტის დოკუმენტებს რომ ანადგურებენ და მტკიცედ სწამთ, ისინი „სამეცნიერო-ისტორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას არიან მოკლებული“.

ჯერ კიდევ 1963 წელს განადგურებულა თსუ სტუდენტთა და მეცნიერ-მუშაკთა დახურული კოპერატივის მასალები (1933-34 წწ) — 8 საქმე. რაც დრო გადიოდა, უფრო აქტიურობდნენ კომისიები (ეტყობა, საცავებში მეტი სივიწროვე იყო). ასე მაგალითად: 1977 წელს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრომელს ჯ. შელიას გადაუმუშავებია მასალა და კომისიისთვის (განყოფილების უფროსი — ნ. კვირიკაშვილი, ფონდების მთ. მცველი ნ. მენთეშაშვილი, ფონდების მცველი — მ. კვარცხავა) წარუდგენია „მაკულატურა“! კომისიასაც გაუნადგურებია 70 საქმე!!! მათ შორის: მიმოწერა უნივერსიტეტის სამეურნეო საკითხებზე, 1919 წ. — 11 საქმე; მიმოწერა უნივერსიტეტის ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ, 1925-30 წ.წ. — 8 საქმე; განცხადებები უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ, 1924-30 წ. წ. — 3 საქმე; მიმოწერა საფინანსო საკითხებზე — 1924 წ — 35 საქმე; ცირკულარები უნივერსიტეტის ანგარიშვალდებული პირების მიმართ, 1920-22 წ. წ. — 1 საქმე; უნივერსიტეტის შემფასებელ-საკონფლიქტო სხდომის ოქმი, 1924 წ. — 1 საქმე, მიმოწერა უნივერსიტეტის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ, 1921 წ. — 11 საქმე და ა. შ.

ასე თუ გაგრძელდა, ქალბატონ ქ. მთვრალაშვილის თქმისა არ იყოს, უნივერსიტეტის შესახებ საუბარი მართლაც ზეპირი გადმოცემებითღა იქნება შესაძლებელი.

უნივერსიტეტის დამაარსებელმა ივანე ჯავახიშვილი დიდ მზრუნველობას იჩენდა უნივერსიტეტში არსებული მუზეუმების, წიგნთსაცავისა და საარქივო დოკუმენტების მიმართ. 1926 წლის 22 თებერვალს იგი თბილისის ქალაქის აღმასკომისათვის გაგზავნილ წერილში მოითხოვდა ვაკის ტერიტორიის მთლიანად უნივერსიტეტისათვის გადაცემას და აქვე წერდა, რომ „საჭიროა უწვადი შენობები წიგნთსაცავისათვის, მუზეუმებისათვის და არქივისათვის“. (ს. ჯორბენაძე, „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“. გვ. 401).

დადგა დრო, უნივერსიტეტის წარსულს თვითონ უნივერსიტეტმა მოუაროს (ავტონომია იქნებ ამასაც გულისხმობს). უმორჩილესად ვთხოვთ რექტორატს, ბატონ ნოდარ ამაღლობელს: იზრუნეთ უნივერსიტეტში მუზეუმის საცავის შესაქმნელად, დაუყოვნებლივ მოსთხოვეთ სახელმწიფო არქივს უნივერსიტეტის ფონდის ჯერ დალუქვა და საცავის შექმნის შემდეგ კი მისი უნივერსიტეტისათვის დაბრუნება.

უნივერსიტეტს ნუ დავუკარგავთ მის ისტორიას.

უნივერსიტეტმა არ უნდა დაივიწყოს თავისი წარსული. წარსულის გარეშე ხომ მომავალიც არ არსებობს!

**ზურაბ ბაიბარაშვილი,**
**უნივერსიტეტის მუზეუმის თანამშრომელი.**
**11 აპრილი 1990 წ.**

## „ერისიონი“




**საქართველოს** დემოგრაფიული საზოგადოება ერთ-ერთი იმ პირველთაგანია, ერის კეთილდღეობაზე ზრუნვისთვის რომ შეიქმნა და თავისი არსის გამო ხალხის თანადგომაც მაშინათვე დაიმსახურა. ბევრი კეთილი საქმე გააკეთა საზოგადოებამ, რომელთა აღმნუსხავიც სხვებთან ერთად ჩვენი გაზეთიც იყო. მაგრამ სულ სხვაა, როცა ორგანიზაციას თავისი გაზეთი თუ ჟურნალი აქვს. მაშინ უფრო ღრმად და პრობლემატურად შუქდება მისი საქმეებიც...

დიდხანს ველოდით დემოგრაფიული საზოგადოების გაზეთს და აი, 20 აპრილს გამოვიდა „ერისიონის“ პირველი ნომერიც. რედაქციის „პოზიციაში“ ვკითხულობთ: „ცისიერი, მთის წვერს ზეითი — ასე განმარტავს სულხან-საბა სიტყვა „ერისიონს“. დღეს საქართველოს არა აქვს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე უფრო ცისიერი, უფრო ამაღლებული და სალოლიავებელი მიზანი. ალბათ ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გაზეთს ეს სახელი ეწოდა“.

რედკოლეგია გვპირდება, რომ „ერისიონი“ გვერდში ამოუდგება საქართველოში გაშლილ ეროვნულ მოძრაობას, რომ გაზეთი დიდ ადგილს დაუთმობს ქართული სოფლის პრობლემებს, რადგანაც მიაჩნია, რომ ქართული გენი კვლავაც ქართულ სოფელში უნდა აღორძინდეს...

იქვე გვაცნობებენ, რომ ჯერჯერობით გაზეთი გამოვა თვეში ერთხელ, რვა გვერდის მოცულობით.

„ერისიონის“ პირველ ნომერში ჩვენი აზრით რამდენიმე საყურადღებო წერილია დასტამბული. ერთ-ერთი მათგანია მიხეილ ქურდიანის „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ზოგადი პრინციპებისათვის“. ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადმინსტრაციულ-ტერიტორიულ წყობაზე, რომლის საბჭოთა ხელისუფლების წლებში დამახინჯებამაც მრავალი პრობლემა თუ გასაჭირი შეგვიქმნა. იგი აყენებს წინადადებას, რომ დავუბრუნდეთ ისტორიულ აფხაზეთს, სვანეთს, სამეგრელოს, რაჭას, ლეჩხუმს, გურიას, იმერეთს, კახეთს, ხევსურეთს და ა. შ.

ასევე საყურადღებოა საუბარი ადამიანის გენეტიკის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარესთან, პროფესორ თეიმურაზ ლეჟავასთან. ამ წერილს სათაურიც საყურადღებო და მრავალმნიშვნელოვანი აქვს — „კეთილშობილება გადაეცემა... გენით“.

თითოეულ ჩვენგანს ერთგვარ ნოსტალგიასა და სინანულს გაუჩენს გაზეთის ბოლო გვერდზე დაბეჭდილი წერილი — „შვიდი თაობის საიდუმლოება“, რომელიც ახალგაზრდა მკვლევარს რევაზ მორგოშიას დაუწერია. საგვარეულო ნუსხების ტრადიციის აღდგენა ხომ ჩვენთვის ისეთივე სასურველი და აუცილებელი რამაა, როგორც ქრისტიანული რწმენის დაბრუნება. რადგანაც ეს ყველაფერი ერის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის გარანტიაა.

გლობალური პრობლემების გვერდით შეიძლება მცირედი, მაგრამ არანაკლებ საწუხარია ისიც, თუ რა გვიჯდება დღეს ქორწინება. წერილის ავტორი ნელი სოხაძე ქორწინების მატერიალურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და არცთუ უსაფუძვლოდ, ქორწინება თურმე საკმაოდ ძვირი გვიჯდება...

ამ პატარა ანოტაციაში შეუძლებელია „ერისიონის“ მთელი შინაარსის გადმოცემა, მაგრამ გვერწმუნოს მკითხველი, რომ გამოვიდა კიდევ ერთი საინტერესო, ეროვნული გაზეთი.

**საკუთარი ინფორმაცია**

## შეიქმნა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი

1990 წლის 18 აპრილს ქ. სოხუმში, აფხაზეთში მოქმედი ეროვნული ძალების კონსოლიდაციის მიზნით შეიქმნა ცხუმ-აფხაზეთის ეროვნული კომიტეტი, რომელშიც პარიტეტულ საფუძველზე გაერთიანდნენ:

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია-14 დასი ცხუმ-აფხაზეთის ბიურო,

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმის განყოფილება,

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ცხუმ-აფხაზეთის კომიტეტი,

საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტიის აფხაზეთის სადროშო,

საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ასოციაციის აფხაზეთის კომიტეტი,

საქართველოს ჰელსინკის კავშირი — ეროვნული ალორძინების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია,

სრულიად საქართველოს „ლემის“ სადროშო,

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილება,

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაცია,

საქართველოს ექიმთა ასოციაციის აფხაზეთის რეგიონული განყოფილება.

ეროვნული კომიტეტის I სხდომაზე განიხილეს საბჭოთა საოკუპაციო არმიაში გაწვევის ბოიკოტთან დაკავშირებული საკითხები. შეიქმნა საბოიკოტო კომისია. კომისია მუშაობს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინაში.

(მისამართი: ქ. სოხუმი, გოგებაშვილის 15, მე-11 საშუალო სკოლის შენობა. ტელ: 2-29-19).

## შეიქმნა მონარქისტული ლიგა

1990 წლის 10 აპრილს, საქართველოს მონარქისტული პარტიის დაარსებიდან ერთი წლისთავზე, ქალაქ თბილისში ჩამოყალიბდა საქართველოს მონარქისტული ლიგა. იგი თავის რიგებში გააერთიანებს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ღირსეულ მამულიშვილებს განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, ასაკისა, თანამდებობისა და პარტიულობისა, ყველას ვინც ემხრობა საქართველოს სამეფო ტახტზე ხვთივ კურთხეული მეფისა და ეროვნული ტრადიციების აღდგენის იდეას.

ლიგის დამფუძნებელი კრება ჩატარდება 25 მაისს.

დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ მიაკითხონ მონარქისტული ლიგის შტაბ-ბინას შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი 29, (I სართული, ოთახი № 9).

**დიდება უფალს!**

გაუმარჯოს თავისუფალ, ქართულ სახელმწიფოს!

**ცნობილია**, რომ საქართველოს კომკავშირის უკანასკნელ ყრილობაზე ე. წ. „თვითგამორკვევის“ პერიოდი გამოცხადდა. კომკავშირის რეორგანიზაციის პროცესით ბუნებრივია დაინტერესებული იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. შედგა რამოდენიმე მოლაპარაკება კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელშიც მონაწილეობდნენ წმინდა ილია მართლის საზოგადოების, დამოუკიდებლობის პარტიის, მონარქისტული პარტიის, მერაბ კოსტავას საზოგადოების, შემოქმედებითი ახალგაზრდობისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ამ პროცესის შესახებ ინფორმირებული იყო საქართველოს ჰელსინკის კავშირი და ქრისტიან-დემოკრატთა ასოციაცია. ასე რომ, ეს არ ყოფილა არც ჩვენი პირადი და არც წმინდა ილია მართლის საზოგადოების ერთპიროვნული ინიციატივა.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დეკლარირებულ განცხადებაში პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნდა კონტროლი (კოორდინირება) დეპოლიტიზირებული, საქველმოქმედო ორგანიზაციის შექმნის პროცესისა და არა მის წევრად ოდესმე გახდომა, როგორც ეს 19 აპრილს ტელევიზიით განაცხადა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. გოგიბერიძემ. ვაცხადებთ, რომ ეს არის დეზინფორმაცია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

# განცხადება

ერთთვიანმა დაკვირვებამ კომკავშირელ ფუნქციონერთა მოქმედებაზე და საქმის ვითარების უფრო ახლოს გაცნობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თუ რამდენად არის დაშორებული ერთმანეთს მათი სიტყვა და საქმე. კომკავშირელები უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობასთან ერთად კვლავაც მაღალი დონის სპექტაკლებს დგამენ. ეწევიან ინფორმაციის საბოტაჟს, ბევრი მათგანი, რომელიც აცხადებს, რომ აღარ იქნება კომკავშირის წევრი, ვერ ელევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მანდატს. არიან ფარულ ალიანსში კორუმპირებულ ელემენტებთან.

ჩვენი განცხადება — არ ვაპირებდით ათკ-ს წევრად გახდომას— სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კოორდინაციას ვუწევდით რაღაც, თუნდაც ნაკლებად-სამარცხვინო ორგანიზაციის შექმნას.

დეკლარირება იმისა, რომ კომკავშირ[illegible]აგან სასიკეთო არაფერი გამოვ[illegible] დღეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რთული ჩვენს სინამდვილეში სწორედ რეალური სიკეთის ქმნაა. არც კომკავშირის ლიკვიდაციისა თუ თვითლიკვიდაციის პროცესია ისე მარტივი, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. აფხაზურ, ოსურ თუ სხვა „ინტერკომკავშირებს“ გარდა, არსებობს რეალური საფრთხე, რომ ივნისისათვის გვეყოლება უკვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას თავშეფარებული ქართული კომკავშირიც ან „ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირი“. ამის შემდეგ კომკავშირის ნაძარცვი ქონების არსებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის ჩამორიგებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ აღარაფერი ვთქვათ, საკავშირო კომკავშირისადმი დაქვემდებარებულ იმ ბაზებზე, რომლებიც თუ მოდავე იურიდიული პირი არ მოეძებნათ, ალბათ საქართველოს დამოუკიდებლობამდე განაგრძობენ ცენტრის სამსახურს (ამავე პერიოდში, მთელს საქართველოში კომკავშირულ დაწესებულებათა ხანგრძლივმა პიკეტირებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ეროვნული კონგრესის არჩევნების კამპანიას).

თუ შეიქმნება რაიმე არაპოლიტიკური კომერციულ-საქველმოქმედო ორგანიზაცია — საზოგადოებრივ-ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ უნდა იყოს **არც ერთი ყოფილი კომკავშირული ფუნქციონერი.** კომკავშირი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს. კომკავშირელმა აქტივისტებმა სამუშაო ადგილი მოიძიონ პროფესიის მიხედვით.

რა გამოვა ამ საქმიდან, ძნელი სათქმელია ზემოთაღნიშნულ თუ არაღნიშნულ სიძნელეთა გამო, ერთი კი ცხადია — ყველაფერი უმოკლეს ხანში უნდა გაირკვეს.

**კონსტანტინე გამსახურდია**
**თედო პაატაშვილი**



# ჯილდო პატარა ვიტალი დარასელიას

იშვიათია, რომ 11 წლის ფეხბურთელი ჟურნალისტების ასეთ ყურადღებას იპყრობდეს...

პატარა ვიტალი დარასელია დიდ ფეხბურთში ჯერჯერობით პირველ ნაბიჯებს დგამს და ჩვენი სურვილია, რომ თავისი სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრე იყოს.

ეს სურათი საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის დირექტორის ვახტანგ ესვანჯიას კაბინეტშია გადაღებული, სადაც პატარა ვიტალის გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და „შანსის“ რედაქციების მიერ დაწესებული ფულადი ჯილდო — 1000 მანეთი გადაეცა.

როგორც ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, ეს პრიზი განკუთვნილი იყო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეტოქის კარში პირველი გოლის გამტანისათვის და ფეხბურთელების ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაწყდა, რომ თანხა პატარა ვიტალი დარასელიას გადასცემოდა.

გზა დაგვილოცნია, ვიტალი...

**გია ტუხაშვილი**

ვიტალი დარასელია ჟურნალისტებთან.

**ვარლამ გენბიურის ფოტო.**

# ლონდონიდან პეკინში— საქართველოს გავლით



24 აპრილს დილაადრიან უცხოური მანქანების ქარავანმა ჩაიარა თბილისის ქუჩებში. იგი აზერბაიჯანისაკენ მიმავალი ტრასის მიმართულებით მიეშურებოდა. ესენი იყვნენ „ლონდონ-პეკინის“ უჩვეულო ავტოგადარბენის მონაწილენი, რომლებიც რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდნენ რესპუბლიკის ცხოვრებას.

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა 150 მოგზაურმა, რომლებიც 7 აპრილს გამოვიდნენ ლონდონიდან, უნდა გაიარონ 15 ათას კილომეტრზე მეტი, რათა ჩინეთის დედაქალაქში მოხვდნენ. ამ ავტოგადარბენას ორმოცდათოთხმეტი დღე აქვს დათმობილი. ზოგიერთმა მძღოლმა გადაწყვიტა გაიგრძელოს გზა და ჰონკონგში ჩავიდეს. ხოლო პორტუგალიელ ჟოზე ლისბოს იმედი აქვს, რომ მიიპყრობს გინესის რეკორდების წიგნის შემდგენელთა ყურადღებას. მან სტარტი აიღო ქალაქ საგრეში, პორტუგალიის დასავლეთ სანაპიროზე, და ქარავანს პარიზში შეუერთდა. ჰონკონგის შემდეგ იგი გზას განაგრძობს მაკაომდე. ამრიგად, ლისბო გაივლის ოცი ათას კილომეტრზე მეტს.

— პორტუგალიის ქალაქ ლაგოსიდან მაკაომდე ჩემმა თანამემამულეებმა ჯერ კიდევ ხუთი საუკუნის წინ გაკვალეს გზა, — თქვა ჟოზე ლისბომ საქინფორმის კორესპონდენტებთან საუბრისას, — მაგრამ ეს იყო საზღვაო გზა. მე კი მინდა იგი ავტომობილით დავფარო. სამწუხაროდ, მე ვერ შევიპირე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხელისუფალნი, ნება დაერთოთ, რომ მხლებოდა პირადი თვითმფრინავი, რომლითაც ჩემი ოჯახი იმოგზაურებდა.

ჩემთან ერთად არის ორი მეგობარი — ჩილელი პატრისიო მადარიაგა და ურუგვაელი ჟერმან ბრეტონში. ისინი საუცხოო მუსიკოსები არიან, უკრავენ ფლეიტასა და გიტარას, სხვადასხვა ძველებურ საკრავს, რომლებიც ძალზე პოპულარულია ჩემს სამშობლოში და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, გვინდა, მუსიკის მეშვეობით ჩვენი გულის სითბო ვუწილადოთ იმათ, ვინც გრძელ გზაზე შემოგვხვდება.





**თამაზ გენძეხაძე,**
**იური გოლდმანი,**
**საქინფორმის სპეც. კორ.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

## მხიარული სტარტები



19 აპრილს ლენინის სახელობის კალათბურთის დარბაზში, გულმოწყალების კვირეულთან დაკავშირებით, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ და სპორტკომიტეტმა მოაწყო „მხიარული შეჯიბრება“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ შინაგან საქმეთა სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების (გუნდი „ჩირაღდანი“), წყალსადენის ნაგებობათა დაცვის მუშაკნი (გუნდი „ნაკადული“) და № 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.

ღონისძიების ინიციატორი გახლდათ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ფიზმომზადების სპორტული ჯგუფის უფროსი, სპორტის ოსტატი თეიმურაზ ლაფია, რომელიც მოედანზეც მთავარი მსაჯი იყო.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები: შენგელი ფიცხელაური, ირინა გაბაშვილი, ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა.

დასასრულს № 1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სპორტული ფორმები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

**თეკლე ჯეჯელავა**


## ყურადღება!

**ახალგაზრდული შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება „იბერი“**

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

**ა/წ 29 აპრილს აწყობს**

**გახკეთის პოპულარული საესტრადო ანსამბლის „ოსკორის“ კონცერტს**

ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი ნატჩო დე ფილიპე

**დასაწყისი 20 საათზე.**

შემდეგ „ოსკორის“ კონცერტები გაგრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.


### გასწორება

21 აპრილის პუბლიკაციაში — „ვითხოვთ რიგგარეშე სესიას“! პასუხისმგებელი მორიგისა და კორექტორის უყურადღებობის გამო დაშვებულია პრინციპული ხასიათის შეცდომა: მე-2 სვეტის პირველი აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: „აღიარებს რა საერთაშორისო სამართლის ნორმების უდავო უპირატესობას სახელმწიფო (კერძოდ, სსრკ) სამართლის ნორმების მიმართ, საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე სსრკ სახელმწიფო სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობა“.







## შენარჩუნდება „ორხელისუფლებიანობა“ თუ?..

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა მე-12 ტურის შემდეგ გათამაშების სათავეში „ორხელისუფლებიანობის“ პერიოდი დადგა. საქმე ისაა, რომ ამ ტურში, აქამდე ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი ქეთევან არახამია დამარცხდა ნონა გაფრინდაშვილთან. მისმა უახლოესმა კონკურენტმა ნანა იოსელიანმა კი გაიმარჯვა თეა ლანჩავასთან შეხვედრაში და ახლა ორივე დიდოსტატს 10-10 ქულა აქვთ 12-დან. ასე, რომ ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა.

ბოლო ტური გუშინ გაიმართა.

**საკუთარი ინფორმაცია**





**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**

**რედაქტორი**
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.

უე 00248